

ବିଜ୍ଞାନରେ ଯାହା  
କାହାରୁ ପାଇଯାଇ  
ଥାଏ, ମୁଁ କିମ୍ବାତରି!

პროლეტარიატი უველა ქვეუნისა, მერთდით!

၁၃၈၀၁၄၀  
ပေါက်

# ԱՐԵՎԱՏՅԱՆ

ଶାବ୍ଦିତଙ୍କ,  
ଅପ୍ରିଲ ୩୦୧୯ ୨୯.  
୧୯୨୨ ମ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიაფისა.

Nº 32

ପ୍ରକାଶନ କମିଶନ ଏବଂ ପରିଚୟ ପତ୍ର ପାଇଁ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ଗ୍ରହଣ କରିଛନ୍ତି।

Nº 32

სურათ „ა ღ ა მ ა ე“-ს რედაქციისაგან.

კელის მომწერთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო  
ორგანიზაციების საუკრავლებლივ რედაქცია აცხადებს, რომ

ქურნალი უფასოდ არავის გვეგზავნება.

კველა ხელის მომზარი პატივულის გადა წარმს გათხა და გა-  
ნილი ხელის მრ. ნარის ვასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოასპოვ. თ  
ურნალის გზავნა.

კურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბჭიდება მხოლოდ ფულის  
შემოტანის შემდეგ.



ନେତାକ୍ଷେତ୍ରଙ୍କ ଲଗାଏ ଫିଲ୍ମଟାଙ୍କ ୨ ବ. ୩ ଶାତାମଦ୍ଦୀ କ୍ଷେତ୍ରକ-ଉତ୍କଳୀବିଳ ଗାରିଲା.

## რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყავთ.-კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6-90.

# რ თ ი ც ი პ ა ლ უ რ ი გ ა ნ უ რ თ ი ლ ი მ ი ზ .

## დადგენილება № 145

საქართველოს სოც. საბჭ. რევოლუციონური  
კომიტეტის

ერთი სახის ხარჯის მეორე სახის ხარჯიდ შე-  
ცვლის შესახებ.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი  
აღფენს:

1. აკრძალულია საქართველოს რევოლუციო-  
ნური კომიტეტის დეკრეტით დაწესებული სა-  
სურსათო ხარჯის შეცვლა შრომისა და შარა-გზე-  
ბით ტვირთ-ზიდვის ხარჯით, აგრეთვე ფულადი  
ხარჯის შეცვლა შრომისა და შარა-გზებით ტვირთ-  
ზიდვის ხარჯით.

2. ნებადართულია — საქართველოს რევოლუ-  
ციონური კომიტეტის დეკრეტით შპხოვრებთა-  
თვის დაკისრებული შრომისა და შარა-გზებით  
ტვირთ-ზიდვის ხარჯი, განსაზღვრულ რაონებში,  
უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს განსაკუთრებული  
დადგენილებით, შეცვლილ იქნეს ფულადი ან სა-  
სურსათო გადასახადად, შემდეგ შემთხვევებში:

ა) როცა ამა თუ იმ რაონებში არ არის ისე-  
თი სამუშაო, რომლის შესასრულებლადაც, ასეს-  
ტულ კანონდებულებათა თანახმად, საჭირო იყოს  
შრომისა და შარა-გზებით ტვირთ-ზიდვის ხარჯის  
შეფარდება.

ბ) როცა შრომისა და შარა-გზებით ტვირთ-  
ზიდვის ხარჯის აღსრულება შეუძლებლად იქნება  
ცნობილი იმის გამო, რომ შრომა-დალდებულთა  
საცხოვრებელი ადგილი და შორებული იქნება სამუ-  
შაოსაგან.

გ) როცა პატივსადებ მიზეზის გამო კერძო  
პირისათვის შეუძლებელი იქნება შრომისა და შარა-  
გზებით ტვირთზიდვის ხარჯის აღსრულება, — ყო-  
ველ შემთხვევაში შრომის სამაზრო განცყოლების  
განსაკუთრებული ნებისდართვით.

3. მეორე მუხლით დაწესებული შეცვლა  
შრომისა და შარა-გზებით ტვირთ-ზიდვის ხარჯისა  
ფულადი ან სასურსათო გადასახადად უნდა სწორ-  
მოებდეს სამუშაოს განსაზღვრული ნორმის საბა-  
ზრო ფასის შეფარდებით იმ რაონებში, სადაც ეს  
შეცვლა მოხდება.

**შენიშვნა:** 1: როდესაც შრომისა და შარა-  
გზებით ტვირთზიდვის ხარჯი სასურსათო გადა-  
სახადად შეიცვლება, — ეს უკანასკნელი გადა-  
მხდელმა უნდა ჩამოარის სასურსათო სახალ-  
ხო კომისარიატის ორგანოებს ან რწმუნებულ  
დაწესებულებათ. როდესაც ხარჯი შეიცვლე-  
ბა ფულად, იგი შეტანილ უნდა იქნეს ფინა-  
ნსთა სახალხო კომისარიატის კასაში. ამ ორ-

განოების მიერ გაცემული მოწმობანი შარა-  
გზებით ტვირთზიდვის ხარჯის ნაცვლად სა-  
თანადო რაოდენობის პროდუქტის ან ფულის  
მიღების შესახებ — გაუამხდელმა შრომის გან-  
ულფილებას უნდა წარუდგინოს — შრომისა და  
შარა-გზებით ტვირთ-ზიდვის ხარჯის აღსრუ-  
ლების აღსანიშნავად.

**შენიშვნა:** 2: ზემოაღნიშნული ნატურა-  
ლური ან ფულადი შენატანი უმაღლეს ეკო-  
ნომიურ საბჭოს შეუძლიან მიაკუთვნოს (ზაბ-  
რონიროვატ) ცალკე სამეცნიერო ორგანოებს  
და აგრეთვე შრომის სახალხო კომისარიატს —  
შრომისა და შარა-გზებით ტვირთზიდვის ხარ-  
ჯის განსახორციელებლად.

4. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს უფლება  
ექლეგა — იმ პირთ, რომელნიც სახელმწიფოსათვის  
მუშაობენ მასთან დადგებულ ხელშეკრულების სა-  
უფლებულებები, შრომისა და შარა-გზებით ტვირთზი-  
დვის ხარჯის ნაცვლად დაკისროს მათი ხელსაქ-  
მის შესაფერი დამატებითი სამუშაო.

5. გარკვეულ წესრიგსა და პირობებს ერთი  
სახის ხარჯის მეორე სახის ხარჯზე შესაცვლელად  
ამა დადგენილების საფუძვლის მიხედვით განსაზღ-  
ვრავს უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან  
მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპუბ. რევ. კომიტეტის  
თავმჯდომარის მოადგილე ბ. კვირკველია.

შრომის სახ. კიმისრის მოადგილე ა. მიქაელ-  
რევოლუციონური კომ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. თებერვლის 20.

ტფილისი — სასახლე.

## დადგენილება № 147

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტის

ქ. ტფილისის განტერითგის ტენტრალური საუწყებათა-  
შორისო კომისიისა და საგანგებო საფილტრაციო სა-  
მუშაოს გადაცემის შესახებ — ტუფილისის ქალაქის ად-  
მისრულებელი კოშიტეტის გამგბლობაში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკს რე-  
ვოლუციონური კომიტეტის მიერ 1922 წლის  
ივლისის 14-ს თარიღითა და 40 ქ.ით და ამავე  
წლის დეკემბრის 8-ს თარიღითა და 111 ქ.ით გამო-

ცემულ დადგენილებათა შესაცვლელად — საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ტფილისის განტვირთვის ცენტრალური საუწყებათა შორისო კომისიისა და საგანგებო საფილტრაციო სამეცნიერო მოქმედება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან გადატანილ იქნეს ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის სამმართველოს განყოფილებაში.

2. გაერთიანებულ იქნეს ტფილისის განტვირთვის ცენტრალური საუწყებათა შორისო კომისიისა და საგანგებო საფილტრაციო სამეცნიერო მოქმედება „ქალაქ ტფილისის განტვირთვისა და ფილტრაციის განსაკუთრებულ საუწყებათა შორისო კომისიის“ სახელწოდებით.

3. კომისიის შედგენილობა განსაზღვრულ იქნეს შემდეგნაირად:

ა) ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტისაგან — ორი (2) წარმომაზეებელი:

1) სამართველოს განყოფილების გამგე — თავმჯდომარე,

2) კომუნალურ მეურნეობის გამგე — თავმჯდომარის მოადგილე.

და თითო წარმომადგენელი:

3) საქართველოს საგანგებო კომისიისა,  
4) მუშათა და გლეხთა ინსპექციისა,  
5) შრომის სახალხო კომისარიატისა,  
6) საქართველოს კომუნისტურ პარტიის ტფილისის კომიტეტისა და

7) საქართველოს პროფესიონალური კავშირის საბჭოსაგან.

4. ტფილისის განტვირთვის ცენტრალური საუწყებათა შორისო კომისიისა და საგანგებო საფილტრაციო სამეცნიერო თავმჯდომარენი ვალდებული არიან, — ხუთი დღის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, — ჩააბარონ „ტფილისის განტვირთვის და ფილტრაციის საუწყებათა შორისო განსაკუთრებული კომისიის“ ყოველი საქმე, მთელი ტეხნიკური აპარატი და გააცნონ იგი ცენტრალურ საუწყებათა შორისო კომისიის და საგანგებო საფილტრაციო სამეცნიერო მუშაობას.

5. დაევალოს განსაკუთრებულ კომისიის ერთი კვირის გადაზე შეაღინოს ვრცელი ინსტრუქცია „ტფილისის განტვირთვისა და ფილტრაციის განსაკუთრებული საუწყებათა შორისო კომისიის“ მოქმედებისათვის და წარუდგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს დასამტკიცებლად.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რეგ. კომიტ.

თავმჯდ. მოადგილე ბ. კვირკვლია.

რეგ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. თებერვლის 27.

ტფილისი — სასახლე.

## დადგენილება № 148 კომიტეტის

საქ. სოც. საბჭ. რეგ. კომიტეტის.

გამოძიებასა და სამართალში მიცემულ შესაბამისას უკეთ ჯამაგირით დაკავეთილების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მუშა-მოსამსახურებს, რომელიც გამოძიების ქვეშ იმყოფება ან სამართალშია მიცემული და, ამის გამო, სრულიად დათხოვნილია სამსახურიდან, ესპობა ჯამაგირისა და ყოველგვარი ხასიათის გამომართველობისა და მისი დათხოვნისა.

2. მუშა-მოსამსახურებს, რომელიც გამოძიების ან სამართლის ქვეშ იმყოფება და, ამის გამო, დროებით გადაყენებულია სამსახურიდან, ეძლევა ჯამაგირის ნახევარი დღიდან მისი გადაყენებისა სამართლოს მიერ საბოლოო განხენის გამოტანდება და მიერ გამომართლებულ იქნება, უნდა მიჟუს დანარჩენი დაჭრილი თანხაც.

**შენიშვნა:** ა) თუ, ვინიცობათ, სასამართლოს განხენის გამოტანამდე, რაიმე მანიფესტის ძალით, სექტემბრის იქმნა, — დაჭრილი ჯამაგირის ნახევარი მანიფესტით განთავისუფლებულ პირს არ მიეცემა; ბ) დაჭრილი ჯამაგირის ნახევარი უნდა მიეცეს გამოძიების ქვეშ მყოფ იმ მუშა-მოსამსახურებს, რომლის შესახებ გმოძიება მოსპობილ იქნება სათანადო დაწესებულების მიერ.

საქ. ს. ს. რ. რეგ. კომიტეტის  
თავმჯდომარის მოადგილე ბ. კვირკვლია.

შრომის სახალხო კომისიის  
მოადგილე ა. ზოქაძე.

რევოლ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. თებერვლის 23.

ტფილისი — სასახლე.

## დადგენილება № 149

საქართ. საბჭ. რეგ. კომიტეტის.

შრომისა და შემაგრით ტერიტორიული დაფინანსირების ხარჯის შესახებ საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის მიერ ამ 1922 წლის იანვრის 25-ს თარიღითა და 90 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-11 მუხლის შესაცვლელად და განსავითარებლად — სა-

შრომის და შემაგრით ტერიტორიული დაფინანსირების ხარჯის შესახებ საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის მიერ ამ 1922 წლის იანვრის 25-ს თარიღითა და 90 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-11 მუხლის შესაცვლელად და განსავითარებლად — სა-

ქროველოს სოც. საბჭ. ოქსპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. პასუხისმგებლობა შრომის ხარკის შეუსრულებლობისათვის დაკასრება პირადად თვითეულ შრომა-ვალდებულ მოქალაქეს. პასუხისმგებლობა შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის შეუსრულებლობისათვის დაკასრება იმ პირს ან მეურნეობას, რომელზედაც ხარკის გადამხდელთა სიით მუშა-საქონელი ითვლება. უკეთუ სოფლად შეუძლებელი იქნება პასუხისგებაში მიცემა თვით შრომა ვალდებულისა, რომელმაც თავი განირიცა შრომის ხარკისაგან, — მის მაგივრ პასუხს აგებს ოჯახის თავი (სახლის პატრონი).

**შენიშვნა:** ოჯახის თავი (სახლის პატრონი), რომელიც პასუხისმგებელია ოჯახის იმ წევრის მაგიერ, ვინც თავი განარიცა შრომის ხარკის შერულებას, — განთავისუფლდება ამ პასუხისმგებლობისაგან შემდეგ შემთხვევაში:

- ა) უკეთუ ოჯახის წევრმა ხარკი არ შეასრულა ავადმყოფების გამო; ამისთანავე ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სათანადო წესით;
- ბ) უკეთუ ხარკის არა შემსრულებელი ოჯახის წევრი შევიდა სამსახურში საშტატო თანამდებობაზე — სახელმწიფო საწარმოო ან სხვა დაწესებულებაში ან და მეურნეობაში;
- გ) უკეთუ იგი იძულებით ჩამოშორებულ იქნება მეურნეობას ერთი თვის ვადაზე მეტი დროით სახელმწიფო ხელისუფლების დადგენილების თანახმად. იმ შემთხვევაში, უკეთუ შრომ-ვალდებული ოჯახის წევრი ადგილობრივ არ იძულება საკუთარი საჭიროების გამო ან სხვა ამისთანა მიზეზით — ოჯახის თავი (სახლის პატრონი) პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებულ არ უნდა იქნეს.

2. უკეთუ შრომის და შარაგზით (ტვირთზიდვის ხარკი შესრულებული არ იქნება ამისათვის დაღენილ ვადაზე, თემის აღმასრულებელი კომიტეტი თვის მიერ დამოუკიდებლივ რაიმე საჯელის დაუდებლად, აცნობებს ხარკის არ შემსრულებელთა შესახებ შრომის სამაზრო განყოფილებას მათი პასუხისგებაში მისაცემად.

3. შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის შეუსრულებლობისათვის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, შრომის სამაზრო განყოფილების წარდგენის შემდეგ, დადებს დამნაშავეს აღმინისტრაციულის წესით შემდეგ საჯელს:

ა) გადიდება შრომის და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის ნორმისა ერთი — ორადე;

ბ) დატუხალება ორ კვირაზე არა უმეტესი ვალით;

გ) ფულადი ჯარიმა, — რაც სამუშაოს თავისუფალი თვითური ფასის ღირებულებაზე ხუთჯერ მეტი არ უნდა იყოს.

4. უკეთუ შრომისა და შარაგზით ტვირთზი-

დვის ხარკის შეუსრულებლობისაგან თავის განრიცებას მასიური ხასიათი ექნება, — შრომის სახალხო განყოფილება და აგრეთვე შრომის სახალხო კულტურული მისარიცატი, — ზედამხედველობის წესისამგბრ, — გადასცემებს საქმეებს სახალხო სასამართლოს, რომელიც, — თუ საკიროება მოითხოვს, ამ საქმეების გასარჩევად დანიშნავს კალკე მოძრავ სეიის.

5. სამეურნეო ორგანო რომელსაც ეძლევა განკარგულებისათვის შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის წესით გაწვეული მუშახელი და შარაგზით ტვირთზიდვის ძალა, — გალდებულია აცნობოს ხოლმე თემის აღმასრულებელ კომიტეტს ან შრომის სამაზრო განყოფილებას ყოველი შემთხვევა დანიშნული საქმის აღსუსრულებლობისა. — ამ ცნობების შეუტყობინებლობისათვის შრომის სახალხო კომისარიატის შეუძლიან, — შრომის სამაზრო განყოფილების წარდგენისამებრ, — სამართალში მისცეს სათანადო მუშაობის ხელმძღვანელნი.

6. მე-3 მუხლში აღნიშნული აღმინისტრატიული სასჯელი მოყვანილი უნდა იქნეს სისულეში სამართველოს სათანადო განყოფილების მიერ არა უკვიანეს სამი დღის ვადისა — დღიდან აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მიღებული დადგენილებისა — სასჯელის დადების შესახებ.

7. შრომის განყოფილებათ უფლება ეძლევათ, — შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის აღსრულებისათვის შრომის განყოფილების მიერ და უნდა გადის განმავლობაში, — აუკრძალონ ხარკის გადამხდელთ ნებაყოფლობითი სამუშაოზე დასაქირავებლად გასვლა, ფილტ მათ მიერ საესებით არ იქნება შესრულებული შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის ნორმა.

8. ვიღრე შესრულებელი არ იქნება შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის ნორმა ხე-ტყის დამზადებისა, რაც დადგენილია მიმღინარე სახარკი პრეზიდიუმისათვის, — შრომის განყოფილებათ შეუძლიანთ, — სათანადო ორგანოების მუშაობით, — აკრძალონ გაცემა და დამზადება სატყეო მასალისა თავისი მოვალეობის დამრღვევ ხარკის გადამხდელთა საჭიროებისათვის.

9. პასუხისმგებაში მიცემისათვის შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის შეუსრულებლობას ეთანაბრება:

ა) უმუყაითო შესრულება ხარკისა;

ბ) გადაუსდელობა ფულისა და ნატურალური ხარკის რაც შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის შეცვლის წესისამგბრ, დაკისრებული აქვთ გადამხდელს.

გ) განზრახ არ წარდგენა ან წარდგენა ყალბი ცნობებისა, რომელიც ხარკის გადამხდელთა სიაში უნდა იქნეს შეტანილი.

10. სოფლის საბჭო და თემის აღმასრულებელ კომიტეტი პასუხისმგებელია სასამართლოს და აგრეთვე დისკიპლინარული წესით — ხელისუფლების



უმოქმედობისათვის და თავისი მოვალეობის დაუღვრებით აღსრულებისათვის შრომის და შარაგზით ტვირთზიდვის ხარჯის განხორციელების დროს.

11. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის  
თავმჯდომარის მოადგილე ბ. კვირკველია.

შრომის სახ. კომისარის მოადგილე ა. მიქაელი.

რევოლ. კომიტეტის მდივანი აღ. სალარიძე.

1922 წ. ობერვლის 23.  
ტფილისი — სასახლე.

## დადგენილება № 150.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

შორწყულ მიწების დაბეგრის შესახებ სამეცნიოთა და  
საჭიროებისათვის.

თვალყურისდევნება და მოვლა — პატრონობა  
არსებული სარწყავის სისტემებისა, მათი რემონტი  
და წესირად შენახვა, აგრძელება ახალი, აღვილო-  
ბრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სამუშაოს  
შესრულება, რაც გამოწვეულია სასწრაფო გარე-  
მოებით, — შეადგენს იმ მცხოვრებთა მოვალეობას,  
რომელიც პირდაპირ დაინტერესებულია და სარგებ-  
ლობს აღნიშნულ სარწყავ სისტემას.

ამა მნიშვნელოვანი საქმის სწორი გეგმითა და  
მტკიცე წესით წარმოებისათვის და აგრძელება სამისო  
აუცილებელი საღსარის შექმნისათვის, საქართველოს  
სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური  
კომიტეტი აღგენს:

1. დაწესებულ იქნეს თვითოეული დესიატინა  
მორწყული მიწის დაბეგრია შემდეგნაირად:

ა) ერთ დესიატინა მორწყულ ნახნავზე, რო-  
მელიც დათესილია სიმინდით, ქერით, შერით და  
სხვ. —  $1\frac{1}{2}$  ფუთი სიმინდი.

ბ) ერთ დესიატინა მორწყულ ნახნავზე, რო-  
მელიც დათესილია სორბლით, — 1 ფუთი ხორბალი.

გ) მორწყულ დესიატინაზე, რომელიც დათე-  
სილია კრონილით, კომბინატორი და სხვ. — 2  
ფუთი სიმინდი, ან  $1\frac{1}{4}$  ფუთი ხორბალი.

დ) ერთ დესიატინა მორწყულ ბაზზე, ვენახზე  
და ბოსტანზე — 3 ფუთი სიმინდი ან 2 ფუთი ხორ-  
ბალი.

2. მიწის ნაკვეთი, რომელიც  $\frac{1}{4}$  დესიატინაზე  
მეტია, ან მას უდრის, ჩითოვლება ერთ დესიატინად.

3. ბეგარის განაწილებას აწარმოებს აღვილო-  
ბრივი სამაზრო საადგილმამულო (მიწის) კომიტეტი  
და გკონომიური განყოფილება და ამტკიცებს  
რევოლუციონური კომიტეტი.

4. ნატურალური ბეგარის ნაცვლად შეტანა იმ  
დართულია მისი ლირებულების ფულად შეტანა იმ  
ფასებში, რომელსაც განსაზღვრავს სამაზრო რევო-  
ლუციონური კომიტეტი.

5. ხარკი შეტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს  
1922 წლის მაისის 1-სა. ხარჯის მიღებისა, იღნუ-  
ხვისა, და გაღმოგზავნის წესი განსაზღვრულ უნდა  
იქნეს ცალკე ინსტრუქციით, რომელსაც უემუშავებს  
ერთად სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და  
მიწათმომედების სახალხო კომისარიატი.

6. დაბეგვრის მოელი შემოსავლის ერთი ნახე-  
ვარი გადაეცემა სახალხო მეურნეობის უმაღლეს  
საბჭოს, ხოლო მეორე ნახევარი მიწათმომედების  
სახალხო კომისარიატს ზემოაღნიშნული სამელიო-  
რაციო საჭიროებისათვის.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან  
მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტ.  
თავმჯდ. მოადგილე ბ. კვირკველია.

სახ. მეურნეობის უმაღლესი საბ.  
თავმჯ. მ. ტოროშელიძე.

რევოლ. კომიტ. მდავანი აღ. სალარიძე.

1922 წ. ობერვლის 23.  
ტფილისი — სასახლე.

## დადგენილება № 151

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

სიღნაღის მაზრის თან სახარკო განუთვილებად განა-  
წილების შესახებ.

სიღნაღის მაზრაში სახარკო საქმის ჯეროვნად  
მოსაწყობად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევ-  
ოლიუციონური კომიტეტი აღენს:

1. სიღნაღის მაზრა გაყოფილ იქნეს ორ სა-  
ხარჯის რაიონის განყოფილებად.

2. პირველი სახარკო რაიონის განყოფილება  
მოთავსებულ იქნეს ქალაქ სიღნაღში, ხოლო მეორე  
სოფ. გურჯაანში.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან  
მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტ.  
თავმჯდ. მოადგილე ბ. კვირკველია.

ფინანსთა სახალხო კომისარი ა. სვანიძე.

რევოლ. კომიტ. მდავანი აღ. სალარიძე.

1922 წ. ობერვლის 23.  
ტფილისი — სასახლე.

## დადგენილება № 152

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა

საქართაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეფონის ნიჩნის გადაღების შესახებ.

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიციური კომიტეტის მიერ 1921 წლის დეკემბრის 5-ს თარიღით და 110 № ით გამოცემულ დადგენილებასთან დართული ნიხრის შესაცვლელი, — დამტკიცებულ იქნეს ამასთანვე დართული ნიხრი საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეფონის სარგებლობისათვის.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტ. თავმჯდ. მოადგილე ბ. კვირკველია.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი  
ა. კამარაული.

რევ. კომიტ მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. ოქტომბრის 23.

ქ. ტფილისი, — სასახლე.

### 152 № დადგენილების დანართი.

## ნ ი ხ ი

საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეფონის სარგებლობისათვის

დადგენილების საგანი	გადასახადის რაოდენობა მანეთობით.	შენიშვნა
1 საქალაქთაშორისო ტელეფონის ლაპარაკისათვის რესპუბლიკის ფარგლებში პირველ 3 წუთს . . . . .	50.000	
2 3 წუთზე ზედმეტი ლაპარაკისათვის ყოველ ზედმეტ წუთს ან მის ნაწილზე დამატებით . . . . .	20.000	
3 დავალება აბონენტების გამოსაძებლად ორივე ქალაქისათვის . . . . .	20.000	

4 საპასუხო შეკვეთა . . . . .	40.000	შეკვეთისათვის
5 ქ. ბაქოსთან საერთაშორისო ტელეფონისთვის პირველ 3 წუთში . . . . .	150.000	
6 3 წუთზე ზედმეტი ლაპარაკისათვის ყოველ ზედმეტ წუთზე ან მის ნაწილზე დამატებით . . . . .	70.000	
7 ქ. განჯასთან საქალაქთაშორისო ტელეფონით ლაპარაკისათვის თვითეულ პირველ 3 წუთზე . . . . .	100.000	
8 3 წუთზე ზედმეტი ლაპარაკისათვის თითო წუთზე ან მის ნაწილზე . . . . .	40.000	
9 დავალება აბონენტების გამოსაძებლად ორივე ქალაქისათვის . . . . .	50.000	
10 საპასუხო დავალება . . . . .	40.000	
11 სასწრაფო ლაპარაკისათვის და სასწრაფო შეკვეთისათვის გადასახადი, როგორც საქალაქთაშორისო, ისე საერთაშორისო ტელეფონისა გამოერთევა ერთი-სამადჩევულებრივთან შედარებით. იგანსი განისაზღვრება 2.000.000 მანეთით . . . . .		
12 შეკვეთისათვის შემოტანილი ფული არავითარ შემთხვევაში არ დაერთვება . . . . .		

**შენიშვნა:** თუ მთხოვნელები ბევრი იქნება, ლაპარაკის დროგანტახოვის 10 წუთით.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომ. მოადგილე ბ. კვირკველია.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი  
ა. კამარაული.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

ტფილისი—სასახლე.

დაწვენილება № 157

საქართველოს სოკ. საბჭ. რესპუბლ. რევ. კომიტ. შირაგზით ტვირთხილების ხარკის აღსრულების დროს უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის შახებ.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის  
რევილუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დაზღვების საზოგადო წესით აგნაზღაუროს  
მეურნეობის ის ზარალი, რომელიც მოუვა სახელ-  
შიფრო ორგანოების საჭიროებისათვის შარა გზით  
ტვირთზიდების ხარჯის შესრულების დროს, მისი  
მუშა-საქონლოს, (ხარის, კამეჩის, ცხენის და სხვ.)  
დაღუპვისა და დაშვებისაგან: დაზარალებულს და-  
ლუპულ საქონლის ნაცვლად მიეცეს ან ფული ახ-  
ლის შესაძენად ან სხვა საქონელი.

2. ზარალის ანაზღაურებას ფულით ან საქონლით მთავრებნს მის განკარგულებაში ნაწინი სიშუალებებიდან ის ორგანო, რომლისათვისაც სამუშაო სწარმოებდა.

3. შირმის სახალხო კომისარიატს დაევალოს  
მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად  
გამოსცეს ინსტრუქციები იმ მცურნეობათათვის შე-  
მწერბის აღმოჩენის შესახებ, რომელთაც შერა გზით  
ტვირთვიდვის ხარჯის შესრულების დროს დაპქრ-  
გეს ან დაუშავდათ მუშა-საქონელი.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან  
მისი გამოკვეყნებისა.

საქართველოს სოკ. საბჭ. რესტუბლიკის რევოლ.  
კომიტ. თავმჯდომარის მოადგიონ ბ. კიორკეთი.

ଶ୍ରୀମତୀ କାନ୍ଦିଲାଙ୍କାରୀ ମହାନ୍ତିଷ୍ଠାନୀ ପାଇଁ ପରିବାରକୁ ଆଶ୍ରମରେ ଆଶ୍ରମରେ ଆଶ୍ରମରେ

1922 წლის ოქტომბრის 23.

## ରୂପିଲିବେ—ସାମନ୍ଦରୀ.

დადგენილება № 158

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რეკოლ. კომ.

კოლექტიურ, სელშეკრულობის შესახებ.

სამუშაოს მიმკეთა და მშრომელთა უზრიერთობის მოწესრიგებისათვის, ერთის მხრით — სასოფლო მეურნეობის აღდგენის უზრუნველყოფისათვის და მეორეს მხრით — მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის, საქართველოს სოც. წაბჭოთა რეპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი აგვნენ:

1. შრომის პირობები სახელმწიფო, საკონკრეტო, საკუნძულო, საკუნძულო, საკუნძულო, და კერძო დაწესებები.

ბულებასა, საწარმოი დაწესებულებათა რდა მცურავი  
ობაში, სადაც მუშათა და მოსამსახურება იწყება ქანკუსები  
აღემატება 5 კაცს და სადაც ამასთანავე მექანიკუ-  
რი მამოძრავებელია და 10 კაცს, სადაც იგი არ  
არის, განისაზღვრება კოლექტიური ხელშეკრულო-  
ბით, რომელიც აუცილებლად უნდა დაიღოს მხა-  
რეთა შორის.

**შენი ჯგნა:** ამი მუხლში აღნიშვნული დაწესებულებულებისა, საწარმოთ დაწესებულებისა და ტერი-  
ნების მეპატრონებს (მოიჯარილებს) და მუშაბს  
წინადადება ეძღვევათ ორი კვირის განმავლობაში  
იხმარონ კოველი ლონისძიება კოლექტიური  
ხელშეკრულობის დასადებად ქვემოდ განსახ-  
ლვული წესისამებრ.

2. კოლექტიური ხელშეკრულობის პროექტი  
ერთი მხარე წარუდგენს მეორეს. თვითეული მხარე  
ვალდებულია სამი დღის განმავლობაში პროექტის  
ასლის მიღების დღიდან გასცეს პასუხი მეორე მხა-  
რეს, თანახმად თუ არა იგი მიიღოს ასეთი ხელშე-  
კრულობა, ან აცნობოს თავისი სურვილი მოღაპა-  
რა, ების გამართვისათვის.

3. უკეთეს ერთი მხარე უარყოფის პასუხს გა-  
სცემს მეორეს, ან მოლაპარაკების დროს შეთანხ-  
მება არ მოხდება, ორივე მხარე ვალდებულია საბო-  
ლოოდ შეთანაბეჭის მისაღწევად მიჰმართონ საქარ-  
თველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრო-  
მის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის გან-  
ყოფილებას, ხოლო აღილობრივ—საკავშირთა შო-  
რასო გაერთიანებულ ორგანოების შრომის გან-  
რიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფი-  
ლობას.

4. მხერეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულობა სარეკისტრაციოდ და დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს სამ ცალიდ შრომის სახალხო კომისიარებს ან მის აღელობრივ ორგანოს.

5. კერძო, საჯარო და საკონცერტო წარმოებისათვის, რომელსაც სიერთო სახელმწიფო გარივი მნიშვნელობა აქვს, გრეფვე ცენტრალურ მმართველობით გაერთიანებულ საწარმოო დაწესებულებათათვის როგორიც არის, მაგ. კონცერტივი და სხვა მსგავსი წარმოება, რომლის ტერიტორია (ოქმედების რაოთნი) არ აღმატება შრომის სამართლი განყოფილების მოქმედების ტერიტორიას, — კოლეგიურ ხელშეკრულობას დასკვის კავშირების (ცენტრალური გამგეობა).

6. ყველა სხვა საწარმოო დაწესებულებისათვის, რომლის მოქმედება კ ვრცელდება მხოლოდ მაზრის რაიონზე, კოლექტიურ ხელშეკრულობას დასრულებს სამაზრო პროფესიონალურობისურო, ხოლო დაამტკიცებს და რეგისტრაციაში გაატარებს შრომის საბაზრო განყოფილება.

7. ასლი კავშირთა ცენტრალური გამგეობის  
მიერ დადებული ხელშეკრულობისა განხორციელე-  
ბისათვის უნდა გაიგზავნოს შრომის განყოფილებაში  
რომლის რაონბშიც შედის ის საწარმოო დაწესე-  
ბულება, რაზედაც ვრცელდება დადებული კოლე-  
ქტორი ხელშეკრულობის მოქმედება.

8. კოლექტიურ ხელშეკრულობას, რომელიც წარედგინება დასამუკიცებლად შრომის სახალხო კომისარიატს ან მის აღვილობრივ ორგანოს, დართული უნდა ჰქონდეს დასკვნა აღვილობრივი პროფესიონალური ბიუროსი ან საქართველოს პროფესიონალური საბჭოსი.

9. შრომის აღვილობრივი განყოფილების გადაწყვეტილება კოლექტიურ ხელშეკრულობის დამტკიცების შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს მხარეთა მიერ სათანადო უმაღლეს ინსტანციაში ორი კვირის განმავლობაში.

10. ყველა კოლექტიურ ხელშეკრულობას დამტკიცებს შრომის სახალხო კომისარიატი ან მისი აღვილობრივი ორგანო.

კოლექტიურ ხელშეკრულობის შეცვლა ან დამატება მოხდება იმავე წესით, რა წესითაც სწარმოებს მისი დამტკიცება.

11. კოლექტიურ ხელშეკრულობაში აღნიშნული უნდა იქნეს:

ა) სახელშოდება და მისამართი პროფესიონალურ კავშირებისა, მოსამსახურეთა და სამუშაოს შიმუებთა, რომელთაც ხელშეკრულობა დასდეს;

ბ) ხელშეკრულობის მოქმედების დაწყების ვადა;

გ) ორგანოები, რომელთაც დაკისრებული აქვთ ხელშეკრულობის განხორციელება;

დ) წესი მუშაობის მიღებისა და დათხოვნისა;

ე) სამუშაო დროის განაწილება; ხანგრძლივობა სამუშაო დღისა, საღილისათვის მუშაობის შეწყვეტის დრო, უქმედები დასასვენებლად ზედებული მუშაობისა და შვებულების წესი და სხვა წესები შინაგან განრიგებისათვის.

ვ) შრომის სასყიდელი: საფუძველი სასყიდლის განსაზღვრისათვის იმისდა მიხედვით, თუ რამდენად აქვს მომუშავეს ხელობა შესწავლილი, რა ხასიათისაა სამუშაო, რაძენად რთულია იგი და სახიფათო, აგრეთვე წესი განაკვეთის განსაზღვრისა და შეცვლისა, მუშაობის დანაწილება პროფესიებად, ხოლო ამ უკანასკნელებისა ჯგუფებად და კატეგორიებად; რაოდენობა განაკვეთისა;

ზ) შესასრულებელი სამუშაოს ნორმის დაწება, განსაზღვრული რაოდენობისა და ხარისხის სამუშაოს შესასრულებლად გარანტიის ფარგლების გამორკვევის წესი და განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო შტატების დაწესება;

თ) წესი ბინებისა, სასადილოებისა, ტანსაცმელისა და სხვ. ხარებებისა.

ი) შეგირდობის გამოქვეყნების პირობები, წლოვანება, სწავლის დრო, რიცხვი, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, სასყიდელი;

კ) ხელშეკრულობის მოქმედების უკიდურესი ვადა, პირობები და წესი ხელშეკრულობის შეცვლისა და მისი მოქმედების შეწყვეტისა;

ლ) შრომის სასყიდლის პირობები საწარმოო დაწესებულების ლიკვიდაციისა, საწარმოო დაწე-

სებულებას მთლიად ან მისი ნაწილიც დღიურებით შეჩერებასა, საწარმოო დაწესებულების შემცირების დროს.

**შენიშვნა:** თვითეულ მხარეს უფლება ეძლევა, თავიანთი შეხედულებისამებრ, შეიტანოს კოლექტიურ ხელშეკრულობაში შრომის პირობების მოწესრიგებისათვის სხვა (ზემოაღნიშნულის გარდა) წესიც.

12. მეთვალყურეობა და კონტროლი კოლექტიურ ხელშეკრულებათა თავის დროზე დადგებისა და შესრულებისათვის დავვალება შრომის სახალხო კომისარიატსა და მის აღვილობრივ ორგანოებს.

13. შრომის სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა ამა დადგენილების შესრულობაში დამნაშავე მხარე პასუხისმგებაში მისცეს სახალხო სასამართლოს წინაშეც.

14. წარმოების მეპატრონე (მოიჯარადრე), დამნაშავე ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შეუსრულებლობაში, სახალხო სასამართლოს განახენით დაჯარიმებულ უნდა იქნეს სამას მანეთამდე ოქროთი (ქართული ბონების ანგარიშით) ან დაპატიმრებული იძულებითი მუშაობის ბანაკში ვადით ექვს თვემდე.

15. შრომის სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროტოკოლის საბჭოსთან ერთად, უფლება ეძლევა ამა დადგენილების განსავითარებლად და დასამტკიცებლად გამოსცეს ხოლმე სათანადო ინსტრუქცია და ცირკულიარი.

16. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. სოც. საბჭ. რეს. რევოლ. კომიტ. თავმჯ.

მოადგილე ბ. კვირკველია.

შრომის სახ. კომისრის მოადგილე ა. მიქაელი.

რევოლ. კომიტეტის მდივანი ალ. სალაშიძე.

1922 წ. მარტის 2.

ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 159.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა.

ესედა უწევბის დამატებათი კულტურული ნუსხას დამტკიცების შესახებ—სახელმწიფო მუშა-მასამსახურთა დასაქმეუფლებლად 1922 წლ. იანვრისა, თებერვლისა და მარტის ჯამაგირით.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთ რესტყბლივის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს აქვე დართული და-

მატებითი კრედიტების ნუსხა სულ 78.468.628.560 მან., — ყველა უწყების სახელმწიფო მუშა-მოსამ-სახურეთა დასაკმაყოფილებლად 1922 წლის იან-ვრისა, თებერვლისა და მარტის ჯამაგირით იმ გა-ნაკვეთის თანახმად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუ-ციონური კომიტეტის 86 №-ის დღკრეტით.

აღნიშნული კრედიტები გახსაილ იქნეს 1922 წლის საღრიცხვო დანიშნათა ანგარიშში.

**შენიშვნა:** საქართველოს საგანგებო კო-მისიას კრედიტი გახსნა სრულად 1922 წლი სათვის, რის გამოც იგი ნუსხაში შეტანილ არ იქნა.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტ. თავმჯდ. მოადგილე ბ. კვირკელია.

ფინანსთა სახ. კომისარი ა. სვანიძე.

რევოლ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. მარტის 2.

ტფილისი—სასახლე.

159 №-ის დადგენილების  
დანართი.

## ნ უ ს ხ ს

დამატებითი კრედიტებისა, რომელიც უნდა გა-ეხსნას ყველა უწყებას მუშა-მოსამახურეთა და-საკმაყოფილებლად 1922 წ. იანვრისა, თებერ-ვლისა და მარტის ჯამაგირით.

რ ი ჩ ნ ქ ნ	უწყებათა სა- ხელშოდება	თ ვ ე შ ი	სამ თვეში
1	საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ- კომიტ. . .	107.000 000	321.000.000
2	მიწათ-მოქმედ. სახ. კომის. .	3.401.027.520	10.203.082560
3	შრომის სახალ- კომისარ. . .	134.820.000	404 460.000
4	სოც. უზრუნ- ველ. სახ. კომ. .	151.940.000	455.820.000
5	გარეშე საქმეთა სახ. კომისარ. .	52.500.000	157.500.000
6	ფინსტა-ტელეგ. სახ. კომის. .	3.524.580.000	10.573.740000

7	ცენტ. სტატი- სტატ. სამმარ.	210.000.000	630.000.000
8	იუსტიც. სახ. კომისარ. . .	1.200.000.000	3.600.000.000
9	შინაგან საქმეთა სახ. კომისარ. .	2.518.780.000	7.556.340.000
10	ჯანმრთელ. სახ. კომისარ. . .	3-210.000.000	9.630.000.000
11	განათლებ. სახ. კომისარიატი .	5.550.820.000	16.652.460000
12	მუშ. და გლებ. ინსპ. სახ. კომ.	214.000.000	642.000.000
13	ფინანსთა სახ. კომისარ. . .	1.170.000.000	3.510.000.000
14	სასურსათო სახ. კომისარ. . .	535.000.000	1.605.000.000
15	სახალხო მეურ. უმაღლ. საბჭო	636.650.000	1.909.950.000
16	სამხედ. და სა- ზღვაო სახალ. კომისარიატი .	2.635.342.000	7.906.026.000
17	საზღვ. სატრან- სპ. სამმართ. .	903.750.000	2.711.250.000
	სულ . .	26.156.209520	78.468.628560

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტ.  
თავმჯდ. მოადგილე ბ. კვირკელია.  
ფინანსთა სახ. კომისარი ა. სვანიძე.

რევოლუც. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. მარტის 2.  
ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 160

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

სახალხო სასამართლოს დებულების 115 მუხ. შესაცვლელიდ საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საკავშირო და კერძო საჩივრების განსახილვე-ლად სახალხო მოსამართლეთა საბჭოს სხდომები 3 წევრისაგან შესდგება: ორი მათგანი უნდა იყოს სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ერთი კი სახალხო მოსამართლე, სახალხო მოსა-მართლეთა კორლობის მიერ შემუშავებული წესით გამოწვევული სახალხო მოსამართლეთა საჭირო სხდომებით დასასწრებლად ვადით ორ კვარტლე. საჩივრების განხილვა სახალხო მოსამართლეთა მოქ-

მედების გამო და საკონტროლო ფუნქციები დაეკისრება სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმს, რომელიც ამ კონტროლს განახორციელებს ან უშუალოდ ან და იუსტიციის აღგილობრივი განყოფილების მეშვეობით.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. რევ. კომ.

თავმჯდ. მოადგილე მ. კვირკვლია.

იუსტიციის სახალხო კომისრის  
მოადგილე ს. კარტოზია.

რევ. კომ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ., მარტის 3.  
ტფილისი—სასახლე.

## საქართველოს კომისართა საბჭო.

### დადგენილება № 1

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს.

საშემოსავლო სარგის გადამხდელთა დამშეგნისა განსაკუთრებული გადასახდით—საქართველოში დამშეგნისა სასარგებლოდ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღენს:

1. საქართველოში დამშეგულთა დახმარების ფონდის გასაძლიერებლად 1921 წლის საშემოსავლო ხარჯის გადამხდელთ დადგოს ერთდროული დამატებითი გადასახდი შემდეგი ნორმის მიხედვით:

ა) 25 მილიონ მანეთამდე შემოსავლის მქონე პირმა უნდა გადაიხადოს 10 პროც. მაზედ დაკისრებული საშემოსავლო გადასახდის თანხისა.

ბ) 25 მილიონ მანეთზე მეტი შემოსავლის მქონე პირმა უნდა გადაიხადოს 20 პროც. მაზედ დაკისრებული საშემოსავლო გადასახდის თანხისა.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე მ. ოკუჯავა.

ფინანსთა სახალხო კომისარი ა. სეანიძე.

სახ. კომისართა საბჭოს  
მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. მარტის 10.  
ტფილისი—სასახლე.

### დადგენილება № 2

სამართლებრივი მინისტრის

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს

გერძ სამკურნალო დაწესებულებათა განსინი შესახებ.

1. ნებადართულ იქნეს კერძო სამკურნალო დაწესებულებათა (სააგადმყოფო, ამბულატორია, სანატორიუმი და სხვ.) გახსნა ჯანმრთელობის სახალხო კომისარისატისა და აღგილობრივი ჯანმრთელობის განყოფილებათა ნებადართვით და მათივე კონტროლის ქვეშ.

2. ჯანმრთელობის სახალხო კომისარისატის დაევალოს გამოსცეს ინსტრუქცია კერძო სამკურნალო დაწესებულებათა გახსნის წესისა და მათი კონტროლის შესახებ.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე მ. ოკუჯავა.

სახ. კომისართა საბჭოს  
მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. მარტის 15.

ტფილისი—სასახლე.

### დადგენილება № 3

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოს.

საქართველოს და ავსტრიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საზღვაო ტრანსპორტის სამსართველოსთვის საქანდელო და სალოცა დირექტორის დასახელის შესახებ.

საქართველოსა და აფხაზეთის საზღვაო ნაპირებზე ნაოსნობის ყოველგვარ საფრთხისაგან უზრუნველყოფისათვის—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კომისართა საბჭო აღენს:

1. დაარსებულ იქნეს საქართველოსა და აფხაზეთის სოც. საბჭოთა რესპუბლიკების საზღვაო ტრანსპორტის სამართველოსთან საკანდელო და სალოცა დირექტია.

2. დაევალოს საქანდელო და სალოცა დირექტორის იზრუნოს ნაოსნობის უზრუნველყოფისათვის შავი ზღვის ნაპირებზე მდინარე ჭირობიდან, სამხრეთით ბათომიდან, რესერვის სოც. უედურ. საბჭ. რესპ. სახელმწიფო საზღვრებამდე და გაგრიდან ჩრდილოეთით, მით საზღვრებში მდებარე პორტებისა და ყველა წყლებითურთ.

3. დაევალოს საზღვაო ტრანსპორტის სამართველოს ორი კვირის განმავლობაში შეიმუშაოს საქანდელო და სალოცა დირექტიისათვის ვრცელი

დეპულება და განახორციელოს მისი მოქმედება.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.

საბჭ. თავმჯ. მოაფილე მ. ოკუჯავა.

კომისართა საბჭოს მდივანი აღ. სალარიძე.

1922 წ., მარტის 15.

ტფილისი — სასახლე.

## დადგენილება № 4.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

სამკურნალო და სასახიორაო დაწესებულებათა დღი დაბრინვით სახსარით შენასვის წესის შესახებ.

ადგილობრივი დაბეჭდების დაბულების თანახმად საქართვ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ამტკიცებს შემდეგ ნუსხას ჯანმრთელობის სახალხო კომისარის ხარჯებისას, — რომელიც უნდა მიღებულ იქნეს ადგილობრივ სახსარზე

1. ადგილობრივი სამკურნალო და სასანიტარო დაწესებულებათათვის, (როგორიც არის მაგ.: საავადმყოფო, სანატორიუმი, საჯანმრთელო და ბავშვთა სამკურნალო დაწესებულება, ბავა, დედათა და ბავშვია) სახლი, სანიტარული განათლების დაწესებულება და (სხ.), სამეცნიერო და მატერიალური ხასიათის სამსახურის გაწევა, რომელსაც შეადგენს: სადგომის დაქირავება, გათბობა-განათება, წყალი, მიმღინარე რემონტი, სისუფთავის დაცვა, საკანცელარიო ხარჯი, თეორეული, სამეცნიერო მოწყობილობა, თეორეულის გარეცხვა და წერილი სამეცნიერო ხარჯი.

2. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის უშუალო გამეცემლობაში მყოფ დაწესებულებათა (სახელმწიფობრივი მნიშვნელობის დაწესებულებანი: კურორტები, მაჩვენებელი, მეცნიერული კვლევისა, საგზაო, წყალთა, რეინისეგზისა, სამხედრო, საპატიმრო, საპროტეზო ქარხნა და სანიტარული განათლებისა, — რომელთა განსაკუთრებული სია დამტკიცებულ იქნება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, — და სამედიცინო გამომცემლობა) რჩენა-შენახვა მიღებულ უნდა იქნეს მთლად სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე.

3. რჩენა-შენახვა იმ სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებისა რომელიც სამსახურს უწევს მხოლოდ სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებას ფაბრიკა - ქარხნების მუშა - მოსამსახურეთ, მიღება სრულიად სახელმწიფო ხარჯზე; ხოლო ავადმყოფთა შინა-სამაზრო ტრანსპორტი — ადგილობრივ ხარჯზე, გარდა ავადმყოფების კუ-

რორტზე გადაყვანისა სანიტარული ვარაუდებლით.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოს თავმჯდ. მოადგილე მ. ოკუჯავა.

ჯანმრთელ. სახალხო კომ. გ. კუჭიშვილე.

კომისართა საბჭოს მდივანი აღ. სალარიძე.

1922 წ. მარტის 20.

ტფილისი — სასახლე.

## დადგენილება № 5.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომის. საბჭოსი.

1922 წ. იანვრის 1-დე განუსაჩინოებელ რეკვიზიციისა და კონფისკაციის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

რეკვიზიცია და კონფისკაცია, რომელიც მოხდენილ იქნა საქართველოს რევოლუციონურ კომიტეტის მე-5 №-ის დეკრეტისა და ამა დეკრეტისათვის იუსტიციის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის გაზ. „პრავდა გრუზიის“ მე-217 ნომერში გამოქვეყნებამდე, ან რომელიც მოხდენილ იქნა ხსენებულ დეკრეტისა და ინსტრუქციის წესისამებრ მათი გამოცემის შემდეგ, ხოლო განსაჩინოებულ არ ყოფილა 1922 წლის იანვრის 1-დე, ძალაში რჩება და გადასინჯულ ან გაუქმდებულ არ უნდა იქნეს.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდ. მოადგილე მ. ოკუჯავა

შინაგან საქმ. სახ. კომის ს. ქავთარაძე

სახ. კომის. საბჭ. მდივანი აღ. სალარიძე.

1922 წ. აპრილის 3.

ტფილისი — სასახლე.

## დადგენილება № 6.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

სახელმწიფო თეატრების შენობათა ნაციონალიზაციის შესახებ.

1. სასკრენო ხელოვნების განვითარებისა და ავადმყოფისათვის აღიარებულ იქნეს ქ. თბილისში ნაციონალიზაცია:

ა) ყოფილი არტისტიული საზოგადოების ქონებისა, ამ ეამად რუსთაველის თეატრისა, სავაჭრო შენობის ყოველი თვალითა, თავისი სათეატრო ხელსაწყობით, მოწყობილობით, ინვენტარით, ავგაზეულობით, გარდერობით, დეკორაციებით, ელექტრო-სადგურით და ყველა სხვა კუთვნილებით.

ბ) სახელმწიფო ოპერის თეატრის ქონებისა, აგრეთვე ყოველგვარი მოწყობილობით, ელექტრო-სადგურით და ბაღჩებით.

გ) მცირე თეატრის ქონებისა მაღაზიებით, სავაჭრო შენობის ყოველი თვალით და სხვა სა-დგომებით.

2. მთელი ეს ქონება მისი კუთვნილებითურთ გადაცემულ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობისა და სარგებლიბისათვის,—ჩამო-ერთეულის—რა იგი ყველა სხვა პირსა და უწყებას ვის მფლობელობასა და სარგებლობაშიაც იგი არის.

3. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან შისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭოთა რესპ. სახ. კომის.

საბჭოს თავმჯდ. მოადგ. მ. ოკუჯავა.

კომისართა საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. აპრილის 6.

ტფილისი — სასახლე.

## დადგენილება № 7

საქ. ს. ს. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს.

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ დროე-ბით ხარკის დაწესების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოველგვარი საქონელი, რომელიც შემო-ტანილ იქნება საზღვარ-გარეთიდან საქართველოში ან საქართველოდან გატანილი, —ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, დაიბეგროს დამატებითი ხარჯით თანახმად ამა დადგენილებასთან და-თული ნუსხისა.

**შენიშვნა:** ამა დადგენილების პირველ (1) მუხლში აღნიშნულ დამატებითი ხარჯისა-კან განთავისუფლდება დამშეულთა დამხმარე საზოგადოებრივი ორგანიზაციები სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგე-ნილებით.

2. საზღვარ-გარეთ მიმავალ თეოთეულ პირს გადახდეს, არსებული გადასახადის გარდა, ასი ათა-სი (100.000) მანეთი დამატებით.

3. დაიბეგროს ბანკების მიერ წარმოებული ყველა სააქტივო ოპერაციები  $6\% - 10\%$  წლიურად, ხოლო ფულის გაგზავნის ოპერაციები — 10 მან.-თქ თვითეულ 1000 მან.-ზე.

4. დაწესებულ იქნეს გადასახადი  $10\% - 10\%$  რაოდენიბისა ღვინის აქციზის თანხიდან.

5. დაიბეგროს შამპანიური და პორტვეინი 25.000 მან. რაოდენობით ბოთლზე სპეციალური მარკების საშუალებით.

6. დაიბეგროს თამბაქოს ნაკეთობა მისი ღი-რებულების  $1\% - 10\%$  გადასახადით.

7. შემოღებულ იქნეს სპეციალური საფოსტო მარკები შემდეგი ღირსებისა: ა) უბრალო ბარა-თისათვის — 1000 მან. ბ) დაზღვეულისათვის — 3000 მან.; ყოველგვარი ამანათებისათვის — 5000 მან.; თითო დეპეზისათვის — 10.000 მან.

8. ფულის გადაგზავნისათვის ერთი მილიონი მანეთის ზევით გარდახდეს გამგზავნელს გადასაგ-ზავნი თანხის  $1\% - 10\%$ .

9. ყოველი აქტი, რომელიც შესრულებული იქნება სახალხო ნოტარიუსთან, და აგრეთვე მის მიერ შემოწმებული დოკუმენტი, დაიბეგროს და-მატებით არსებულ საღებარო გადასახადის  $10\% - 10\%$ .

10. დაევალოს რესპუბლიკის ყველა ხაზინას გაუსწინას დეპარტიტი დამშეულთა დამხმარე ადგი-ლობრივ კომიტეტებს.

11. დაევალოს ყველა დაწესებულებას, რომე-ლიც ამა დადგენილების თანახმად, კუთვნილებისა-მებრ აწარმოებს დამშეულთა სასარგებლოთ ფუ-ლის აკრეფას, დაუყონებლივ შეიტანოს აღებული თანხა ადგილობრივ ხაზინაში დამშეულთა დამბა-რე ადგილობრივი კომიტეტის დეპარტად, ხოლო ცნობები თვითეულ კვირის განმავლობაში შემო-სული თანხის შესახებ წარედგინოს საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს.

12. მთელი შეკრებილი თანხა გადაცემულ იქნეს საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტის განკარგულებაში.

13. ამა დადგენილების განსახორციელებლად ფინანსთა სახალხო კომისარს უფლება ეძღვა გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია.

14. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე მ. ოკუჯავა.

ფინანსთა სახ. კომ. მოადგ. ბიბინეიშვილი

სახ. კომ. საბ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. აპრილის 9.

ტფილისი — სასახლე.

## 7 №-ის დადგენილების დანართი.

Բ Ա Ե Ւ Յ.

სიზღვარ-გარეთიდნ საქართველოში შემოტანილ და სა-  
ქართველოდან გასრან საქონლისა, რომელიც უნდა და-  
იძებულის დამატებით საკუთ საჭირო. დაშესულთათვის  
დახმარების ღმისახელად.

ყოველგვარი საქონელი, ომელიც შემოტანილ იქნიბა საქართველოში საზღვარ-გარეთიდან ან საქართველოდან გარინილი დაიბეჭროს ოქროს ფალიუტით შემდეგი რაოდენობის:

1. ჯერფი  $\frac{1}{4}$  კაბ. თუთი — ბრუნო; სატარი-  
ფო მუხლები: 1.2.3.4.22.23.32.33.34.35.36.37,  
38.39.40.41.42.43.44.51.65.66.69.70.71.72.73,  
79.80.81.82.83.84.85.86.87.138, ამ ჯარფში შე-  
დის: სურათ სანოვაგი, მინერალური სამკურნალო  
წყლები, მარილი, თიხისა და ქარს მიხელი, (კრებ-  
რი), ქანელი (ასპერი), დაბაზირი (გიპსი), მინ/აფა  
(ჰიმზე) და სხია ნახშირის ნაწარმოები, მერინარისა  
და მინერალური სათბობი, ფიცი და მისი პროდუქ-  
ტი, სკაბითარი, სამყე (კარბონი) ნერლად, ლითო-  
ნისა და მინერალური მაღანი, და ნავთის ზოგიერ-  
თი პროდუქტი.

**შენიშვნა:** ნაგოს პროცესუალური მუხ. 85) დაიბიჯროს  $\frac{1}{4}$  კაპ. ბენზინი და ყოველ-გვარი მინერალური ზეთი;

2: კეროსინი (მუხ. 85) არ დაიბეგრება;  
3: შავი-ქა (მუხ. 138) არ დაიბეგრება.

2. ჯაუთი—1 კა. ოუთი-ბრუტო; სტარიფო  
მეხლები: 25, 26, 74, 75, 85, 179, ამ ჯგუფში ჟელის:  
საფური, სვინა და მისი მანარი (ექსტრაქტი), თი-  
ხის ნიწარმლები და სხვა-და-სხვა ქაშანაურის (ფა-  
ინ(კის) ჭურჭელი, ნავთი და მისი პროცესუატი,  
გართა ბენზინისა, მინერალური ზეთისა და კერო-  
სინისა და სართველი მასალა.

3. ჯგუფი—2 კატ. მუთი-ბრუტო; სატარიფო  
მოხლები: 5, 6, 7, 9, 10, 11, 52, 58, 59, 60, 61, 62, 63,  
64, 69, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101,  
102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 114,  
115, 116, 117, 118, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127,  
128, 129, 130, 131, 132, 133, 139 140, 141, 142, 143,  
144, 145, 146, 147, 173, 174, 175, 190, 191. ამ  
ჯგუფში შედის: ბორნეულობა და ხილი, ცვილი  
(წმინდა სანთელი), ხე-ტყის მასალა და მისი პრი-  
დუქტი, ქიმიური მასალა, ლითნი, აეტომობილი,  
ეკიპაჟი, ვაგონი, პლატფორმა, გემი, ნაქი, ბაზირი  
(კანატი) თავი, ბაზე და ტრამერები.

4. ჯაზფი — 3 კაბ. ფურთა-ბრუტო: სატარიფო  
მუხლები: 27, 28, 29, 31, 53, 76, 77, 78, 88, 134, 135,  
136, 137, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 160,  
161, 162, 163, 164, 165, 169, 167, 168, 176, 177,  
180, 181, 182, 215<sup>2-3</sup>, 216, 217, 218. ამ ჯგუფში შე-  
დის: მავარი სასმელები, ღვინო, ქვარი, ლუდი,  
სანთელი, ფაინურისა, ლითონისა, მინისა და სამ-

ყის (კაუჩუკ) ნაკეთობა, სალებავი მესალა, ხელის  
ინსტრუმენტი, მანქანა, ყოველგვარი ძალაშეტი, საცი-  
წორი, სტამბის მანქანა და მისი შროშუონილობა,  
აბრეშუმის პარკი, ნედლი აბრეშუმი და სხვ, მატ-  
ყლი, ბამბა, ბავშვის სათამაშოები, საგადანარეჩიო  
საქონელი, საკანცელარიონ ნივთები, კოლექციის  
და მუზეუმისათვეს სხვა-და-სხვა ნაწარმოების ნიმუ-  
შები, საწერი ქაღალდი და ქაღალდის დასაწეად-  
ელი მასალა.

5. ჯგუფი—4 კაბ. ფუთი-ბრუტო; სატარიფო  
მუხლები: 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21<sup>7</sup>, 120<sup>2</sup>,  
183, 184. ამ ჯგუფში შედის: კონსერვები, სოკო,  
დოკვი, ყავა, კაკაო, ჩაი, თამბაქო ფურცლიად,  
სარეცხის საპონი, ბამბისა, სელისა და სხვა ძაფი-  
სებური სართვე მასალა.

6. ჯავუი—5 კაბ. ოუთი-ბრუნი; სატარი-კო  
მუხლ.: 212-3, 45, 46, 47, 48, 49, 50, 54, 55, 562-3-4  
და 5, 57, 112, 113, 157, 158, 159, 170, 171, 172, 186,  
187, 188, 189, 192, 193, 194, 198, 199, 200, 201, 202,  
205 (ნაქსოი) მარყლისა, ბამბისა და სხვა ობრალო  
მასალისაგან) 209, 210, 211, 212. ამ ჯავუში შედის:  
თამბაქოს პროცესუატი, თბა, ჯაგარი, ბუმბული, ვე-  
შაპის ულვაში, და მისი ნაწარმოები, ღრუბელი,  
ტყავი დაჩადებული, ბეჭვიული (მებ-) უბრალო,  
ტყავის ნაკეთობა, ოპტიური ხელსაწყო, სათი, და  
მისი ნაწილები, ფარმაცევტული ნაკეთობა და დამზა-  
დებული წამალი, ნემსი, დანა-ჩანგალი, სამუსიკო  
ინსტრუმენტი, მარყლის ნართი, ბამბისა, შალისა  
და ტილოს ნაქსოვი, ტანსაცმელი, ქუდი, ქოლყა  
და თლოაქი.

7. ჯგუფი—10 კაბ. ორთი-ბრუნი; სატარითო  
მუხლები: 24, 56<sup>1</sup>, 185, 203, 204, 206, 207, 208, 213,  
214, 215<sup>1</sup>, ამ ჯგუფში შედის: ტკბილულობა, ძვირ-  
ფასი ბეწვეული, აბრეშუმის ნართი, ხალჩა, ფესკი  
ვუალი, ბახტა, (კრუევი), ნაქარგი, ბუმბული, ფრთა,  
ძვირფასი ხელოვნური ყვავილები, მინის მარგალი-  
რი და ძვირფასი სასამკულო ნივთები.

8. ჯაფუი — 20 კაბ. ოუზონ-ბრუტო; სატარი-ფო მუქხლები: 1491-3, 1484-6-7, (კირვანება ბრუტო), 195, 196, 197, 205 (აბრეშუის ნაკეთობა), ამ ჯაფუში შედის აბრეშუმის ნაკეთობა, პარფიუმერია, მწროთი და ვერცხლით ნაკერი.

9. ჯგუფი — 2 მ. ფუთი-ბრუტო; სატარ იფრ  
მოხვლიბი; 119<sup>2</sup>, (სურნელოვანი წყლები).

10. ჯგუფი—3 მან. ფუთი-ბრუნი: სატარიფო  
მუხლები: 68. ამ ჯკუფში შედის: სადაფი, ქარვა  
და სხვ.

11. ჯგუფი— 5 მან. გორგანქა ბრტყელი; სატარით რიფო შუხლები: 67,1481-2, ამ ჯგუფში შედის ძვირფასი და ხელოვნური ქვა და ოქროს ნაკეთები.

Տավ. Առշ. Տաճկ. Հյուս. Տաճ. Կող. Տաճկ.

ତାମିଳ. ମୋହନ୍ତିଲ୍ଲାଙ୍କ ମ. ଅକ୍ଷୁଣ୍ଣା.

ფინანსთა სახ. კომის. მოადგ. ბიბინეიშვილი

სახ. კომ. საბჭ. მდგრანი ალ. საკუთრიდე.

## დადგენილება № 8.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოსი.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. უზალესი ეკონომიური საბჭ. ორგანიზაც. შესახებ.

1. ეკონომიური ხასიათის სახალხო კომისარიის მთელი სამეცნიერო მოქმედების ხელმძღვანელობისა და შეთანხმებისათვის — საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსან დაარსებულ იქნეს უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

2. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს შედგენილობაში შედიან: თავმჯდომარის უფლებით — საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო წევრის უფლებით — სახალხო კომისარი; სახალხო მეცნიერობის უმაღლესი საბჭოსი, ფინანსთა, შრომისა, სასურათო, მიწათმოქმედებისა, საგარეო ვაჭრობისა და საქართველოს პროფესიონალურ კაშირთა საბჭოს წარმომადგენელი.

**შენიშვნა 1:** უმაღლეს ეკონომიურ საბჭ. სათაბაძირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიღებს საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველი.

**შენიშვნა 2:** უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წევრთა მთადგილეს დანიშნავს სახალხო კომისართა საბჭო.

3. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დაწვალება:  
ა) რესპუბლიკის მთლიანი სამეცნიერო გეგმის შემუშავება.

ბ) თვითონალ სახალხო კომისარიატის სამეცნიერო გეგმის დამტკიცება,

გ) სახალხო კომისარიატებისათვის სპეციალური დირექტორების მიცემა ამა თუ იმ სამეცნიერო სკოლებს გამო.

4. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ყოველი ბრძანება, დადგენილება და განკარგულება აღსრულებულ უნდა იქნეს ყოველივე რიგს გარეშე და აუკილებლად ყველა უწყებისა, დაწერებულებისა, თანამდებობისა და კერძო პირის მიერ.

5. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოს უფლება აქვთ გაუქმონ, ან შეჩერონ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილება ან გადაწყვეტილება, როგორც რომელიმე სახალხო კომისარის პროტესტის გამო, აგრეთვე თავისი შეხედულებისამებრ.

**შენიშვნა:** სახალხო კომისარი, რომელიც არ ეთანხმება უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებას, ვალდებულია განცხადოს ამის შესახებ სამი ღლის განმავლობაში დღიდან ცნობის მიღებისა.

6. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სხდომები უნდა გაიმართოს კვირაში ერთხელ მაინც.

7. ამა დადგენილების გამოქვეყნებულ დღიდან გაუქმდებულია საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 52 და 93 № № ის დადგენილებანი.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდ. მთადგილე მ. ოკუჯავა.

სახ. კომის. საბჭოს მდივანი აღ. სალარიძე.

1922 წ. აპრილის 15.

ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 9.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

სასამართლოს გაუქმებულ დაწესებულებებში დაუმთავრებელ საქმეთა გადების მიმღინარეობის აღდგენის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭო, სცნობს რა ღრმას შესაფერისად საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის ივნისის 26 თარიღით და 58 №-რით გამოცემული დეკრეტის ძალით შეჩერებული ვადის მიმღინარეობის აღდგენის იმ საქმეებისავაკის, რომელიც დაუმთავრებელი დარჩეს სასამართლოს გაუქმებული დაწესებულებებში, — აღენს:

1. ამა დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან მოცეს რომ თვის ვადა ყველა დან ზერგებებულ პირსა და დაწესებულებას შეიტანოს კერძო, საპელაციო და საკასაციო საჩივარი და პასუხი სასამართლოს გაუქმებულ დაწესებულებათა შეირ გამოტანილ დადგენილებასა, გადაწყვეტილებასა და განხევზე იმ სისხლის სამართლის საქმისა და სამოქალაქო საქმის გამო, რომლის ვადის მიმღინარეობაც შეჩერებულ იქნა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონურ კომიტეტის 58 ნომრის დეკრეტით.

2. წინა მუხლში აღნიშნული საჩივარი და პასუხი შეტანილ უნდა იქნეს: იმ საქმეების გამო, რომელიც წარმოებაში იყო ყოფილ ტფილისის ღლის სასამართლოსა, სასამართლო პალატისა, ჯალაქ ტფილისისა და ტფილისის მაზრის მომრიცებელ მოსამართლეთა ყრილობებასა და სენატში, — იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობ განყოფილებაში; ხოლო იმ საქმის გამო, რომელიც წარმოებაში იყო ყოფილ მომრიცებელ მოსამართლებობა და რესპუბლიკის დანარჩენ აღგილების მომრიცებელ მოსამართლეთა ყრილობებასა და ოლქების სასამართლოები — იუსტიციის აღგილობრივ განყოფილებაში.

3. იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობმა განყოფილებამ, ან იუსტი-

ცის აღილობრივმა განყოფილებამ მეორე მუხლში აღნიშნული საჩივარი თუ პასუხი, მიღებისათანავე, საქოს დედანთან ერთად, უნდა გაუგზავნოს სახალხო სასამართლოს ან სახალხო მოსამართლეთა საბჭოს კუთვნილებისამებრ, თანახმად აწ მომქმედ წესებისა აღილობრივი ქვემდებარეობის შესახებ.

საკ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის საბჭოს  
თავმჯდ. მოადგილე მ. ოკუჯავა.

იუსტ. სახ. კომის. მოადგილე ბროდსკი.

სახ. კომ. საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. აპრილის 15.

ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 10.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

საბჭოთა დაწესებულების ანგარიშების შემდგომი რევიზიის ზოგად დებულებათა შესახებ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარის დაარსების შესახებ 1921 წ. აპრილის 27-ს თარიღითა და 30 №-ით გამოცემულ დეკრეტის განსავითარებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, ახალ სარევიზიო წესდების გამოცემამდე, ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამა დადგენილებასთან დართული ზოგადი დებულებანი (წესები) ანგარიშთა შემდგომი რევიზიისა, ანგარიშ-დანაკლისთა გარდაცვევინგებისა და საერთო ფულის ხარჯების შემოწმების დასრულებისათვის შესახებ.

2. მუშათა და გლეხთა ინსპექციისადმი ანგარიშ-ვალდებულმა ყველა საბჭოთა დაწესებულებამ უნდა იხელმძღვანელოს პირველ მუხლში ნაჩვენები წესები მათში აღნიშნული ყველა შემთხვევისათვის.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისათვის.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ.  
თავმჯდომარის მოადგილე მ. ოკუჯავა.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო  
კომისარი უოუკაშვილი.

სახ. კომის. საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. აპრილის 15.

ტფილისი—სასახლე.

10 №-ის დადგენილების შემთხვევაში  
ზოგადი დებულებანი (წესები) ანგარიშთა შემდგომი რევიზიისა, ანგარიშ დანაკლისთა გარდაცვევინგებისა და საერთო ფულის ხარჯების შემოწმების დასრულების ვადისა და წესის შესახებ.

1. ანგარიშ-ა შემდგომი რევიზია ნიშნავს როგორც ხაზინისა ისე საბჭოთა და საწარმოო დაწესებულებათა კუთვნილი ფულადი და მატერიალური საფასურებას ტრიალის შემოწებას, დედანი საბუთებისა, აქტებისა, წიგნებისა და აგრეთვე უკეთუ საჭიროება მოითხოვს, დედანი საქმეების მიხედვით.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული რევიზიისათვის საბჭოთა და საწარმოო სათანადო დაწესებულება პერიოდულად, ქვემოდ დადგენილ ვადაზე, წარუდგენს მუშათა და გლეხთა ინსპექციის აღილობრივა და უნტრალურ დაწესებულებას კუთვნილებისამებრ, წლიურსა, ნახევარწლიურსა, თვიურსა და სხვა ვადის ანგარიშს:

ა) წლიურს—არა უგვიანეს იმ წლის 2 თვისა რომელიც საანგარიშო წელს მოსდევს;

ბ) ნახევარწლიურს—არა უგვიანეს ერთი თვისა ნახევარწლიური ვადის გასვლის შემდეგ;

გ) თვიურს—არა უგვიანეს 15 დღისა საანგარიშო თვის გასვლის შემდეგ;

დ) საოპერაციოს—არა უგვიანეს ორი თვისა ოპერაციის დასრულების შემდეგ;

ე) არა პერიოდულს—დაუყოვნებლივ ხარჯის გაწევისთანავე.

**შენიშვნა:** დოკუმენტალური რევიზია ხარჯის გაწევის დროს შეიძლება მოხდეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის შეხელულებისამებრ აღილობრივადაც, ფაქტიურ შემოწმების დროს ან ცალკე საგანგებოდ წარვლენილ რევიზორთა საშვალებით, რომელიც რევიზიის შედეგების შესახებ შეადგენნ ღმესა, ხოლო შემოწმებულ ყველა დოკუმენტზე აღნიშნავენ, რომ იგი შემოწმებულია.

**შენიშვნა 2:** ანგარიშგება, დოკუმენტი, საქმე და ყოველგვარი ცნობა, რაც სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენს, უნდა წარედგინოს რევიზიის იმ წესით, რომელიც შემუშავებულ იქნება დაწესებულების უფროსისა, ინსპექციისა და ანგარიშგალდებულ დაწესებულების ურთიერთ შეთანხმებით.

3. რევიზიისათვის საჭირო ცნობა, რომელიც წარდგენილ ანგარიშებში არ აღმაჩნდება, აგრეთვე დოკუმენტი და საქმე, თუნდაც წარმოება—დაუმთავრებელი წარედგინება ანგირიშგალდებულ დაწესებულებისა და პირის მიერ მუშათა და გლეხთა ინსპექციის დაწესებულების მოთხოვნილებით არა უგვიანეს 7 დღისა ამა მოთხოვნილების მიღების დღიდან.

4. იმ შემთხვევაში, უკეთუ ანგარიშები ვა-  
დაზე არ იქნება წარდგენილი (მუხ. 2) ან ინსპექციის  
მოთხოვნა შესრულებული (მუხ. 3.) ან თუ ვადის  
გადაკილების მიზეზი არ ეუწყა ინსპექციას, ან და  
ინსპექციისადმი წარდგენილ განმარტებიდან გამო-  
ირკვა, რომ ანგარიშვალდებული დაწესებულება და  
პირი თავს ირიცებს ანგარიშებისა და მოთხოვნილ  
ცნობებისა, საბუთებისა და საქმეების წარდგენისა-  
გან, მუშათა და გლეხთა ინსპექცია პასუხისებაში  
აძლევს დამნაშავეს სამსახურებრივი უმუყაითობი-  
სათვის, რასაც იგი აცნობებს სათანადო სახალხო  
კომისარს.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც ანგარიშება,  
ცნობები და სხვ., მიღებულ არ იქნება, მუშათა და  
გლეხთა ინსპექციის დაწესებულება გაუმარტლებელ  
ხარჯების შესახებ გამოიტანს სარევიზიო დასკვნას  
იმ ცნობების მიხედვით, რაც ხელთა აქვს, ზოლო  
ეს დასკვნა შეიძლება შეკვლილ იქნეს ახალ გარე-  
მოქმედათა აღმოჩენისას.

6. ანგარიშვალდებულ დაწესებულებისა ან პი-  
რის უკანონო და მიზანშეუწონელ მოქმედებით რე-  
სპუბლიკისათვის მიყენებული ზარალი, რევიზიის  
დროს აღმოჩენილი, —ანაზღაურებულ უნდა იქნეს  
იმის დამოუკიდებლად, დანაშაულებრივი მოქმედე-  
ბითა მიყენებული ეს ზარალი თუ უმუყაითობით.

7. სარევიზიო წესით მხოლოდ ის ზარალი  
უნდა იქნეს მიღებული რესპუბლიკის ხარჯზე, რო-  
მელიც ან სტიქიური მოვლენით არის გამოწვეული  
ან შემთხვევითია, მაგრამ იმ პირობით უკეთუ დამ-  
ტკიცებულ იქნება, რომ შეუძლებელი იყო ასეთი  
ზარალის გათვალისწინება, ან და მის თავიდან ასა-  
ცილებლად წინასწარი ზომების მოღება.

8. რევიზიით დაკისრებული ანგარიშდანაკლი-  
სის (მუხ. 6) ჩამოწერა იმ შემთხვევაში, როდესაც  
ანგარიშვალდებული დაწესებულება და პირი არ  
ეთანხმება მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგე-  
ნილებას, აგრეთვე უკანონო მიყენებულ ზარალის  
ანგარიშდან ჩამოწერა მთლიანად ან ნაწილობრივ  
(მუხ. 12) შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს  
განაჩენით, ბრალდებელთა საჩივრით (მუხ. 9) ან  
სარჩელის წესით (მუხ. 12), უკანასკნელ შემთხვევა-  
ში ზარალის ანაზღაურებაზე განაცხადებს მუშათა  
და გლეხთა ინსპექციის სისხლის სამართლის წესით  
დევნის აღდერის დროს.

9. ანგარიშვალდებულ დაწესებულებასა და  
პირს, შეუძლიან ინსპექციის დადგენილების გამო  
სასამართლოში პროტესტის (მუხ. 8) შეტანა ერთი  
თვის ვადაზე, დღიდან ინსპექციის მოთხოვნის მი-  
ღებისა: ამ ვადის გასვლისას ინსპექციის მოთხოვ-  
ნილება კანონიერ ძალაში შედის.

10. ანგარიშვალდებული დაწესებულება ან  
პირი ვალდებულია სასამართლოში საქმის ვადაცემა  
(მუხ. 9) აცნობოს ინსპექციის საქმის ვადაცემის  
(მუხ. 9) დღესვე.

11. ვადახდევინება შეიძლება გავრცელებულ  
იქნეს ჯამაგირზე მხოლოდ კანონით დადგენილი  
წესით.

12. უკეთუ შემდგომი რევიზიის დროს ანგარი-  
შვალდებულ დაწესებულებისა და პირის მოქმე-  
დებაში აღმოჩენდება დანაშაულობის ზოშნები — მუ-  
შათა და გლეხთა ინსპექციის დაწესებულებამ უნდა  
აღძროს დანაშავის წინააღმდეგ სისხლის სამართლის  
წესით დევნა და მაშინვე უნდა განსაზღვროს ხაზი-  
ნის ზარალიც (მუხ. 6). ამასთანავე, აღმოჩენილი  
დანაშაულობის შესახებ ინსპექციამ უნდა აცნობოს  
სათანადო დაწესებულების მართველობას და შეუ-  
ძლიობის მოსთხოვის მას ბრალდებულის თანამდებო-  
ბიდან გადაყენება (მუშათა და გლეხთა ინსპექციის  
1921 წლის აპრილის 27-ს დებულების მე-4 მუხლი).

13. ამა წესებში მოხსენებულ დადგენილებათა  
განსავითარებლად მუშათა და გლეხთა ინსპექციის  
სახალხო კომისარი გამოსცემს ინსტრუქციებს, შემ-  
დგომი რევიზიის წარმოების წესისა და მისი დასრუ-  
ლების შესახებ და აგრეთვე საზოგადოდ ინსპექციის  
ყველა დაწესებულებაში სარევიზიო წარმოების წე-  
სის შესახებ; მაგრამ, ამასთანავე, საერთო წესად  
უნდა დამყარდეს, რომ ფულადი და მატერიალური  
კაპიტალის ტრიალის ანგარიშთა შემდგომი რევი-  
ზიია დასრულებულ იქნეს მუშათა და გლეხთა ინ-  
სპექციის დაწესებულების მიერ შემდეგ ვადაზე:

ა) სააღრიცხო პერიოდისა არა უგვიანეს იმ  
წლის გასულისა, რომელიც მოხდეს საანგარიშო  
წელს და რომელმაც სახელწოდება მისცა სააღრი-  
ცხო პერიოდს.

ბ) სააღწენებლო და კრედიტორთა სიებით  
გაგრძელებულ კრედიტების ტრიალისა — არა უგვი-  
ანეს 6 თვისა, ამა კრედიტების ამოწურვის დღიდან.

**შენიშვნა:** საანგარიშო და სარევიზიო  
ნაწილისადმი საინსტრუქციო განკარგულებას,  
თუ იგი შეება ანგარიშვალდებულ დაწესებუ-  
ლებებს, —გასცემს მუშათა და გლეხთა ინ-  
სპექციის სახალხო კომისარი, მათ მიერ სავალ-  
დებულო აღსრულებისათვის.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევ.  
კომიტეტის თავმჯ. მოად. მ. ოკუჯავა.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო  
კომისარი უოფიკაშვილი.

სახ. კომის. საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. აპრილის 15.

ტფილისი — სასახლე.

## გრძელება № 1.

საქ. ს. ს. რესპ. სახ. კომის. საბჭოს.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრებად დამტკიცებულ არიან: ამ. ქოქაშვილი, ვაჟაძე და ავალიშვილი.

საქ. ს. ს. რესპ. სახალხო კომის საბჭ.  
თავმჯდ. მოადგილე მ. ოკუჯავა.

სახ. კომის. საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. აპრილის 10.

ტფილისი—სასახლე.

## დებულება.

საქ. ს. ს. რესპ. სახ. კომის. საბჭოს.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უდავო  
მოთხოვნილებით გალის გადასხვდევინებელის  
აკრეფის შესახებ.

1. სახელმწიფო ხარკი, ბაჟი თუ გადასხვდი  
და ყოველგვარი უდავო თანხა, რაც ის ექვემდება-  
რება სასამართლოს წესით განხილვის და რაც ხა-  
ზინაში უნდა შევიდეს — სხვათაშორის აღმასრულე-  
ბელ ფურცლებში აღნიშნული მისჯილი მონათხო-  
ვი, გადახდევინებულ უნდა იქნეს ყოველი მიზეზის  
გარეშე. საჩივარი არა სწორი გადახდევინების შე-  
სახებ, თუმცა იგი ვერ შეახერებს თვით გადახდე-  
ვინებას, შეტანილ უნდა იქნეს, ქვემდებარების  
წესის თანხმად, ზე-მდგომ სახელმწიფო ორგანოში,  
დამოუკიდებლად იმ საჩივარისა, რომელიც შეიტა-  
ნება მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა  
ბიუროში.

2. სახარკო ორგანომ, აგრეთვე სხვა სახელ-  
მწიფო დაწესებულებამ, რომელსაც მინიჭებული  
აქვს უდავო წესით გადახდევინების უფლება, მოთ-  
ხოვნის სისრულეში მოსაყვანად, უნდა მიმდინარეობს  
იმ ადგილის მილიციას, სადაც მოვალე ცხოვრობს  
ან სადაც მისი ქონებაა.

3. უდავო გადასახდევინებელი ანაზღაურებულ  
უნდა იქნეს მოვალისა ან მისი თავმდების უძრავი  
და მოძრავი ქონებიდან, ან იმ თანხიდან, რომე-  
ლიც დარჩება მოვალის კერძო ვალში დაგირავე-  
ბული ქონების საჯარო ვაქრობით გაყიდვისა და  
აღებული ფულით ამ კერძო ვალის გასტუმრების  
შეძლება.

4. ბე თუ გირაო, რომლითაც უნდა შეივსოს  
უდავო გადასახდევინებელი, აგრეთვე მოვალის სხვა  
გასანაღდებელი (საერთოზაფიო) ქონება, სათანადო

სახელმწიფო ორგანოს განკარგულებით, წევნის  
წეროს და საჯარო ვაქრობით გაიყიდოს — მის წევნის  
მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია იუსტი-  
ციის სახალხო კომისარიატის მიერ სასამართლოს  
აღმასრულებელთათვის შედგენილ ინსტრუქციით.

**შენიშვნა:** აღწერისა და შემდეგ აღსა-  
სრულებელ მოქმედებათა დროს გადამხდევი-  
ნებელის უფლება აქვს იმ დაწესებულების წარ-  
მომადგენელს, რომლის განკარგულებითაც  
მოხდება უდავო მოთხოვნის სისრულეში მო-  
ყვანა.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალის ქო-  
ნების შესახებ ცნობები მოიპოვება, მიღიცამ უნ-  
და მიღოს ღონისძიება ქონების მოსაქმნად და  
ერთი თვის განმავლობაში დღიდან ქონების მოძებ-  
ნის შესახებ მოწერილობის მიღებისა, აუცილეს სა-  
თანადო ორგანოს ცნობა მოვალის კუთვნილ ქო-  
ნების ან უქონლობის შესახებ.

6. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მი-  
სი გამოკვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს  
თავმჯდ. მოადგილე მ. ოკუჯავა.

სახ. კომისარ. საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. აპრილის 15.  
ტფილისი — სასახლე.

**მიხ. საქ. სახ. კომისარიატი.**

## ცირკულისარულად

ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევკომის მარწმუნის იანგრის 3 — 2 დამტკიცა დეკრეტი № 87  
აქტების და დოკუმენტების თანხების და საღერბო  
გადასახდის განაკვეთთა შეცვლის და საქანცე-  
ლარიო ბაჟის შესახებ, რომელიც შედის ძალაში  
დღიდან გამოკვეყნებისა მთავრობის ორგანო „მო-  
ამბეში“. ამის გამო გვვალებათ გასცეც სათანადო  
განკარგულება რათა თქვენდამი რწმუნებულ დაწე-  
სებულებამ და ყველა ქვემდებარე ორგანოებმა მი-  
იღონ ზემოაღნიშნული დეკრეტი სისწორით აღსა-  
სრულებლად და სახელმძღვანელოდ და ყოველ შე-  
თხვევაში, თუ დაწესებულებანი სკობენ სპირო-  
ებათ ზოგიერთ საღერბო წესდების განმარტებას, მიმართოთ  
გადასახდთა განყოფილებას.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თანახმათ საქ.  
რესპუბლიკის № 66 დეკრეტთან დართულ წესის  
მე-3 პუნქტისა, საფინანსო აღრიცხვათა და სახელ-

შწიუო შემოსავალ-გასავლის რიცხვ-რიგის შედგენისა, განხილვისა, დამტკიცებისა და ასრულების შესახებ, ყოველი გადასახადი, მათ რიცხვში საღრმო გადასახადიც და შემოსავალი ყველა უწყებისა — გამოუკლებლივ — არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დატოვებული შესანახად თანამდებობის პირთან და დაწესებულებაში და აგრეთვე არ უნდა ჩაირიცხოს დეპოზიტათ და სპეციალურ საშუალებად დაწესებულების ან თანამდებობის პირის სახლდახელო ანგარიშად, არამედ დაუყოვნებლივ, დაწესებულებაში ან თანამდებობის პირთან შემოსვლისთანავე (ხოლო სპეციალურ აქტუალურ კასებიდან განსაზღვრულ ვადაზედ) უნდა გადაეცეს სავსებით ფინანსთა სახალხო კომისარიატის საქალა დაწესებულებას.

შინ. საქმეთა სახალხო კომისარი 6. სოკოლოვსკი

საქმეთა მმართველი დ. დიდებულიძე.

საერთო განყ. გამგე ა. ჩიქოვანი.

## ცირკულისარქოლი

ყველა მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს.

შინა მმართველობის განყოფილების საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებათა მოღვაწეობის შემოფარგვლის შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლების საორგანიზაციო ხაში შინა მმართველობის განყოფილებათა საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებანი აღვილობრივ რევკომების ყველა განყოფილების მიმართ ეწვდნენ საინსტრუქტორო - საინფორმაციო ხასიათის მუშაობას. თუ ასეთ მუშაობა საინსტრუქტორო - საინფორმაციო ქვეგანყოფილებისა დასაშვები იყო ხელისუფლების ორგანიზაციის ხანაში, იყი მისანშეუწონელი მაშინ, როდესაც უკვე სრულიად ჩამოყალიბდა საბჭოთა ორგანოები საქართველოში, როდესაც ამ ხასიათის მუშაობა ძლიერ აფართოვებს ქვეგანყოფილების მიზნებს და მით თითქმის სრულიად აცილებს მას თავის პირდაპირ დანიშნულების საგანს, რაც სავსებით და ერთხმად აღიარებულ იქმნა ამ ქვეგანყოფილებათა გამკენების პირველ ყრილობაზე.

ქვეგანყოფილებათა მუშაობის ასეთმა გაფართოებულმა ხასიათმა თითქმის სრულიად დაუკარგა მას ხასიათი შინა მმართველობის ქვეგანყოფილებისა და ამასთანავე დიდი გავლენა მოახდინა მის შრომის ნაყოფიერებაზედაც. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, კო ქვეგანყოფილების მიზნების გამოურკვევლობა და მოღვაწეობის სწორი საზღვრის უქონლობა, რის გამოც მისი მუშაობა გადახლართული იყო ყოფილ სამაზრო რევკომების თითქმის ყველა

განყოფილების მუშაობასთან, რადგან მუშაობასთან სხვა მიზეზების გამო საინსტრუქტორო-საინფორმაციო მაციო ქვეგანყოფილებას ხშირად რევკომის ყველა განყოფილების საინსტრუქტორო-საინფორმაციო მუშაობა აკისრებდნენ.

დღიდან საქართველოს საბჭოთა არჩეულ ორგანოების-სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების დაფუძნებისა წინად არსებულ მდგრადობის ბოლო უნდა მოეღოს და სწორად უნდა იქმნას შემოფარგლული ყველა მისი განყოფილება-ქვეგანყოფილების მოღვაწეობის საგანი. ამ სახით შინა მმართველობის განყოფილების საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილების მუშაობა უმთავრესად ოთხი მთავარი მუხლით უნდა შემოიფარგლოს: მაზრის აღმინისტრატიულ მართველობაში მონაწილეობით, საბჭოთა ორგანოების საგრძელებით, საბჭოთა ორგანოების არჩევნებით და ინფორმაციით.

ზემოაღნიშნულის მიხედვით საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებათა მუშაობის ჯერივან კალაბრიში ჩასაყენებლად სახელმძღვანელოდ გეგზავნებათ შემდეგი დებულებები:

I. მაზრის აღმინისტრატიულ მართველობაში მონაწილეობა.

§—1. საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილების ევალება უახლოესი მონაწილეობა შინა მმართველობის განყოფილების ყველა ქვეგანყოფილების და მაზრაში მყოფ ყველა მის ქვემდებარე ორგანოების მუშაობაში, მათთვის ინსტრუქტორობის გაწევით.

§—2. §—1-ში მოხსენებულ მიზნის განსახორციელებლად საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებამ უნდა შემოიკრიბოს გამოცდილი ინსტრუქტორ-სპეციალისტები საერთო და მმაჩის ქვეგანყოფილებისათვის, აგრეთვე აღვილობრივ მილიციისათვის.

§—3. საკიროების მიხედვით, თანახმად შინა მმართველობის განყოფილების გამგის განკარგულებისა, საკუთარი ინიციატივით ან თემების თხოვნით ქვეგანყოფილება სათანადო ინსტრუქტორობას გაუწევს ყველა თემის აღმასრულებელ კომიტეტს.

§—4. საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილება ვალდებულის უახლოესი მეთვალყურეობა გაუწიოს შინა მმართველობის ყველა ქვემდებარე ორგანოების მოქმედებას (თემის აღმასკომები და სხვ.), რათა:

- დაცულ იქმნას კანონიერება
- სისტორიის სრულდებოდეს საბჭოთა მთავრობის ყველა დეკრეტი, განკარგულება და სხვ.
- დარიოთ ქანიულდებოდეს საბჭოთა მოქმედების კანონიერი თხოვნა, საჩივარი და სხვ ასევე პრეტენზიები.
- დროით იქმნას მიღებული ზომები ქვემდე-

ბარე თრგანოების უკანონო მოქმედებათა გასაუქმებლად.

ე) დროით იქმნას მიღებული სითანადო ზოგბი ბოროტ-მომქმედ ხელისუფალთა სამსახურიდან გადასაყენებლად.

## II. საბჭოთა ორგანოების საორგანიზაციო მუშაობა.

§—5. საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებას ევალება საბჭოთა ორგანოების საორგანიზაციო მუშაობის სწრაფი დამთავრება იმ თემებში, სადაც ასეთი მუშაობა, სხვა და სხვა დამოუკიდებელ მიზეზების გამო, დაუყოვნებელი დარჩა.

§—6. რომელიმე თემის ხელ ახლ ტერიტორიალურ გადამჯვინის დროს (თემების გაყოფა, შექრთება და სხვ.) საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილება ვალდებულია სითანადო დამტკიცებულ საბჭოთა უმაღლეს თრგანოების დადგენილების მიღებისათვალი შეუდეგეს თემის ფარგლებში პიმედიდ შინა მმართველობის აპარატის შედგნა-თრგანიზაციას.

## III. საბჭოთა ორგანოების საარჩევნო მუშაობა.

§—7. საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებას ევალება მაზრის აღმასკომის ყველა ქვემდებარე თრგანოთა არჩევნების ხელმძღვანელობა, რისთვისაც ქვეგანყოფილება წინასწარ ზრუნავს საარჩევნო კომისარის ჩათანადო საარჩევო ლურულების დასაშადებლად, ადგილობრივ არჩევნების ფაქტოურ ხელმძღვანელთა შესარჩევად და სხვა ზომების მისაღებად, რაც კი ადგილობრივ საკირო აღმოჩნდება.

§—8. იგივე ქვეგანყოფილება ვალდებულია ყურადღება მიაქციოს სათემო და სამაზრო საბჭოების რეგულიარულად მოწვევის, და სითანადო აღმასკომების დაწესებულ ვადაზე ხელახლ არჩევას.

§—9. იგივე ქვეგანყოფილება ზრუნავს, თანახმად აღმასკომის პრეზიდიუმის განკარგულებისა, სხვა და სხვა თათბირების და კონფერენციების (თემების აღმასკომთა, უპარტიო გლეხთა, და საბჭოთა თავმჯდომარეების რეგულიარულ თათბირის და სხვ.) მოსაწვევად მაზრის ფარგლებში.

**შენიშვნა:** §—8 და 9-ში ხსენებულ ყრილობის, თათბირების და კონფერენციების ტეხნიკური მუშაობის შესრულება საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების მოვალეობას შეაღვენება.

§—10. §—6-ში მოხსენებულ შემთხვევათა დროს საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილება სასწრაფოდ აწყობს ადგილობრივ საბჭოთა ყრილობას აღმასკომის საარჩევად, რის შემდეგაც ქვეგანყოფილება თანახმად იმავე §—6 ისა შეუდგება საბჭოთა აპარატის მოწყობას.

## IV. საინფორმაციო მუშაობა 1936 წლის 1 იანვრის დანართის შემთხვევაში

§—11. საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილების საინფორმაციო მუშაობა უნდა განსაზღვრულ იქმნას შინა-მმართველობის განყოფილების მოღვაწეობის სფეროთი.

§—12. თანახმაც §—11-ისა ქვეგანყოფილებაში უნდა გროვდებოდეს ცნობები მაზრის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ; საჭირო ცნობები მაზრაში სურსათ, თესეის და სხვ. კომპანიების ჩატარების შესახებაც, მხოლოდ იმდენად, რომდენადაც ახასიათებენ და დაკავშირებულნი არიან პოლიტიკურ მდგომარეობასთან.

§—13. სხვა და სხვა ეროვნებებით დასახლებულ გაზერებში საჭიროა განსაკუთრებული ყურადღების მიქედევა ეროვნებათა დამოუკიდებულობაზე, მათ შორის ძმურ კავშირის განსამტკიცებლად.

§—14. §—11—13-ში მოხსენებულ ცნობებს, ყოველ სამს თვეში ერთხელ, საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილება თხოულობს მაზრის ყველა თემისაგან, სითანადო საერთო ცნობების კრებულის შესაღენად და შინაგან საქმეთა სხეალხო კომისარიატში წარსადგენად.

§—15. ამასთანავე საინფორმაციო-საინსტრუქტორო-ქვეგანყოფილება ღებულობს ღრუ გამოშვებით, მოხსენებებს თემებიდან შინა მმართველობის განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

§—16. §—14—და 15-ით დაწესებული რეგულიარული ცნობები წინა ცნობების განმეორების არ უნდა შეიცავდნენ, თუ რომელიმე სფეროში, მიმდინარე სამი თვის განმავლობაში, არავითარი ღრუს შესანიშნავი მოვლენა არ მომხდარა (ზაგალითად პოლიტიკური განტუბილება მცხოვრებთა, ბოროტ-მოქმედებათა ცხრილი ან სხვა), შესაძლებელია, ესა თუ ის სფერო მოღვაწეობისა, სრულიად გამოტოვებულ იქმნას.

§—17. საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებას ადგილობრივ სტატისტიკურ ბიუროს დახმარებით, ევალება შედგენა, აღმასკომის პრეზიდულისათვის წარსაღენად ცნობების ამომწურავ კრებულისა მა ანგარიშებიდან, რომელიც აღმასკომის ყველა განყოფილება წარუდგენს პრეზიდულებას, სამ თვეში ერთხელ, თავისი მოღვაწეობის შესახებ.

§—18. მე—18 პარაგრაფში განსაზღვრულ კრებულის შესაღენად საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებამ შეიძლება, ადგილებზე მივლანებულ აღმასკომის წევრთა მოხსენებითაც ისარგებლოს.

§—19. პირი §—18-ით დაწესებულ კრებულისა ყოველთვის ეგზაგნება შინაგან საქმეთა სხეალხო კომისარიატს.

§—20. პირი §—18-ით დაწესებულ კრებულისა ყოველთვის ეგზაგნება შინაგან საქმეთა სახეალხო კომისარიატს.

§—21. ყოველ სამ თვეში ერთხელ, საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილება უგზავნის მოკლე მოხსენებებს, სტატისტიკური ცნობების დართვით, შინაგან საქმეთა სხეალხო კომისარიატს.

შინა მთამბელობის განყოფილების მოღვაწეობის შესახებ.

§—22. საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვე-  
განყოფილების ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულებას  
შეადგენს მაზრის თემებისათვის ცენტრიდან მიღ-  
ბულ საინფორმაციო მასალის (მთავრობის დეკრე-  
ტები, განკარგულებები, დადგენილებები, მოწო-  
დებები, მთავრობისა და საბჭოთა ყრილობებისა და  
სხვ.) დროით მიწოდება.

§—23. საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვე-  
განყოფილების მოვალეობას შეადგენს ყოველგვარი  
საინფორმაციო მასალის სწრაფად მიწოდება, რო-  
გორც თემებისა, ისე (ცენტრისათვის საბჭოთა  
ყოველ სახის არჩევნების შესახებ).

შინაგან საქმეთა სახალხო  
კომისარის მოადგილე ნ. სოკოლოვსკი

საინსტრუქტორო-საინფორმაციო  
განყოფილების გამგე დ. ლამბაშიძე.

ქალ. ტეილისი.

## სირკულისარულებ

ყველა მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს.

საქართველოს მთელი დასავლეთი და აგრეთვე  
აღმოსავლეთის ნაწილები განიცდის სურსათ-სანო-  
ვაგის დიდ სიმცირეს. გასულ წლის მოუსავლობა  
თავს ლატყდა ჩვენს ქვეყნას მოულოდნელ უბე-  
დურებათ. მოუსავლობის საშინელ შედეგების შე-  
სუსტება და თავიდან აცილება შესაძლებლივა, მხო-  
ლოდ წერვანდელ სათეავ კამპანიის შეყობრი ორ-  
განიზაციებით და ენერგიულათ ჩატარებით. ამ საქ-  
მისათვის უნდა დაითესოს ყველა სავარგისი მიწები,  
რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება გამოინახოს  
გამოსავალი ჩვენი ქვეყნის კაზასტროფიულ მდგო-  
მარებიდან. მეცნიერულ გამოკვლევის დასკვნით  
გვალვა მოსალოდნელია მომავალ ზოგხულშიაც,  
ამიტომ მოუსავლობის თავიდან ასაცილებლად აუ-  
ცილებელია ეხლავე ვისარგებლოთ ამ ხელსაყრელ  
აშნული და დაქარებით მოვათავოთ თესვა. ამ მი-  
ზნის განსახორციელებლად და საქართველოს ცენ-  
ტრულურ აღმასრულებელ კომიტეტის მომართვის  
შესასრულებლად კატეგორიულ წინადადებას გაძ-  
ლევთ აგიტაციის საშუალებით და აგრორიტეტულ  
გავლენის გზით აიძულოთ ჩიწის მუშები დაათავონ  
თესვა უსათუოდ აპრალის ბოლო რიცხვებამდე.  
ვინც კი არ მოისურვებს აღნიშნულ ვადაში თეს-  
ვის დათავებას მათ წინააღმდეგ მიღებით იძულებითი  
ზომები, რადგან ამას მოითხოვს რესპუბლიკის ყვე-  
ლა მოქალაქეთა საარსებო ინტერესები.

წინადადებას გაძლევთ სათეავ კამპანიის და  
თქვენ მიერ აღვილობრივად მიღებულ სათანადო

ზომების მსელელობის შესახებ პერიოდულათ აცნო-  
ბოთ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი ნ. სოკოლოვსკი.  
საქმეთა მმართველო ა. ცინცაძე.

## იუსტ. სახალხო კომისარიატი.

### დ ე გ უ ლ ე გ ბ.

იუსტიციის სახალხო კომისარის დასჯა-გასწრობის  
ცენტრალურ განხოფილებას და მისი დაგილობრივ გან-  
უღილებითან ასესბულ რენტრიცელურ და დაგილობრივ  
გამნაწილებებს კომისიებს გამოცამული საქართველოს  
რეგიონული კომიტეტის 94 №-ის დადგენილების  
შე-ნ მუხლის ძალით.

1. გამნაწილებელ კომისიის დანიშნულება არის:

ა) სასჯელის მომხევლ პატიმართა განაწილება  
სხვა და სხვა სახის საპატიმრო აღმოლებ შორის.

ბ) პატიმართა გაზაინა სამშაოთ საბჭოთა,  
სახოგაოთაგრივ თა საჩარიოო სხვა და სხვა დაწე-  
სებულებებში, ამ უკანასკნელთა შოამდგომლობება-  
შებრ, კერძო ბინებზედ ცხოვრების ნება დართვით  
ან უმისოთ.

გ) გამოსაცილო და გასწორების გზაზე დამ-  
დებრო რიგების პატიმართათვის ამ რიგებში ყოფ-  
ნის ვადის შემოკლება.

დ) გადაწყირდა პატიმრის საბრძოლოს საპატიმრო  
აღმილის კოლეგიის ღიღენილებაზედ ამ პატიმრის  
დაჯარიმებულთა რიგში გარაყინის შესახებ.

ე) სათანადო კარგობრის პატიმართათვის შე-  
ბულების მიკემა და სასჯელის დადება-გაზარტყვაზა  
იმ პატიმრების მიმართ, რომელთაც შვებულების  
ვადს გადააცლინეს.

ვ) თავ-სუფლების აღუკიეთელად იძულებითი  
სამუშაოზედ გადაყინა იმ პატიმართა, რომელთაც  
უკვე მოუხდიათ სასჯელის ორი მესამედი ან რო-  
მელთაც დაპატიმრების ვადის გასვლამდე სამ თუებულ  
ნაკლები დარჩენიათ.

ზ) იმ დაწესებულებათა წინაშე, რომლების  
განაჩენით თუ დადგენილებით პატიმარი სასჯელის  
იხდის, ან სასჯელის მოხდის ასიმუში მყოფ მთ  
გვარივე დაწესებულებათა წინაშე შუამდგომლობა  
პატიმარის სასჯელისაგან ვადამდე განთავისოფლების  
შესახებ, ან და საპატიმროდან პატიმარის განთვი-  
სუფლების შესახებ იძულებითი სამშაოზედ გალ-  
უკანით, თავისუფლების აღუკიეთელად, დარჩენილ  
ვადის ან მის ნაწილის განმავლობაში, თუ არ  
არსებობენ წინა პ. „ვ“-ში აღნიშნულ რლი პირობანი.

გ) პატიმრის გადაყინა განსაკალკევებელ  
(საიზოლიაცია), საპატიმროში ან იქიდან გადმო-  
ყანა.

**შენიშვნა:** დასჯა-გასწორების ცენტრალურ განყოფილებას უფლება აქვს, კერძო შეძთხვევაში, შეაჩეროს აღნიშნულ დადგენილებათ აღსრულება, ხოლო ამის შესახებ უნდა აცნობოს გაძნაშილებელ კომისიას. ასეთ შემთხვევაში საქმე უნდა წარედგინოს იუსტიციის სახალხო კომისარს გადასაწყვეტად.

(1) დისკიპლინარულ სასჯელის სახით დაპატიმრების ვადის გაგრძელება იმ პატიმართათვის, რომელიც დაუინგებით არვევენ შრომის დისკიპლინას, ხოლო ვადის ასეთი გაგრძელება ერთ თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

(2) საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დახმარების საქმის მოწყობა და ხელძღვანელობა.

ა) ყველა იმ საქმის გადაწყვეტა, რომელიც ეკისრება კომისიას საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის დეკრეტებით, კანონებით თუ განკარგულებებით.

2. გამნაწილებელ კომისიის მოქმედება ვრცელდება ყველა იმ პატიმარზედ, რომელიც სასჯელს იხდის სახალხო სასამართლოების და რევოლუციონურ ტრიბუნალების განაჩენებით და ზრუთვე საქართველოს საგანგებო საგმომშებლო კომისიის დადგენილებით.

3. გამნაწილებელი კომისია, მისდღი დაქვემდებარებულ საკითხების გადაწყვეტას იწყებს ან საპატიმრო ადგილის კოლეგიის წარდგენით, ან პატიმრის თუ მისი მახლობელ ნათესავის თხოვნით ან და თავის თაოსნობით. უკანასკნელ ორ შემთხვევაში გამოთხვილი უნდა იქმნეს საპატიმრო ადგილის კოლეგიის დასკვნა.

4. იმ დასჯა-გასწორების დაწყებულებაში, სადაც კალეგია არ არსებობს, წინა მუხლში აღნიშნულ დასკვნას იძლევა საპატიმრო ადგილის უფროსის, მის თანაშემწის, მასწავლებლის და ექიმისგან შემდგარი სათათბირო.

5. საპატიმრო ადგილებ შორის პატიმართა პირველ განაწილების დროს კომისია მხედველობაში იღებს პატიმარის ინდივიდუალურ თვისებათ, მის წლოვანების, ჩადენილ დანაშაულის ხსიათს, სამართლი მყოფელობას წინად და სხვ.

6. გამნაწილებელი კომისია შემდეგშიაც თვალყურს ადევნებს ყველა საპატიმრო ადგილებში მყოფ პატიმართ, რომელთა შესახებ საჭირო ცნობებს და მასალას იღებს საპატიმრო ადგილის აღმინისტრაციისაგან.

7. კომისიის წევრებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლივ იხსულონ რესპუბლიკის ყველა საპატიმრო ადგილი, შევიზნენ საკანებას, სახელოსნოებას, საავადმყოფოებას, სკოლებას და ყველა ისეთ ადგილს, სადაც კი პატიმრები იმყოფებიან.

8. ცენტრალურ გამნაწილებელ კომისიას, ზედამხედველობის წესით ან და პატიმრის თუ შისი მახლობელ ნათესავის საჩივრის გამო, უფლება აქვს შესცალოს ან სრულიად გააუქმოს ადგილობრივ გამნაწილებელ კომისიის დადგენილებანი.

9. კომისიის სხდომები ხდება განსაზღვრულ

დღეებში, კვირაში ერთხელ მაინც. სხდომები უნდა მოეწყოს, რამდენათაც ეს შესაძლებელია, სამართიშვილი ადგილებში.

10. კომისიის სხდომები ითვლება კანონიერად თუ დაეწრო არა ნაკლებ სამი წევრისა. კომისიის დადგენილება გამოიქვება მისი უბრალო უმრავლესობით და ეს დადგენილება იწერება უკრნალში.

11. კომისიის ყველა წევრი და სხდომაზედ მონაწილეობის მისაღებათ მოწვეული პირი გასამრჯელოს იღებს იმ რაოდენობით, რომელიც დაწესებულია საუწყებათა შორისო თაბირისათვის.

12. გამნაწილებელ კომისიის დადგენილებათ ასრულებენ დასჯა-გასწორების ცენტრალური განყოფილება და მისი ადგილობრივი განყოფილებანი.

იუსტიციის სახალხო კომისარის  
მოადგილე ს. კარტოზია.

1922 წლ. ოქტომბრის 22 ქ. ტფილისი.

## ცირკულიარი

ყველა რევოლუციონურ ტრიბუნალს, სახალხო სამიართლოს, სასამართლოს მოწყობ განყოფილებას და იუსტიციის სამიზნო განყოფილებათ.

საქართველოს რევოლუციონურ კომიტეტის წ.წ. 7 ნოემბრის თარიღით № 92-ით დადგენილების განსაზარტებლად და მის შეფარდებაში ერთნაირობის დაცვის მიზნით, მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად შემდეგი:

1. ამნისტიის მე-3 მუხლის მაღი დაპატიმრების ვადს შემოქმედების დროს, ეს შემოქმედებული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წლის ვადას, რომელიც ამ უამაღ მიღებულია, როგორც დაპატიმრების ვადის უმაღლესი საზღვარი, ამიტომ უკადით დაპატიმრებულთ, დაპატიმრების ვადა უმოკლდებათ 5 წლაზე და ამასთან მათ შესახებ მიღებული უნდა იქნას სრული და სასტიკი განხოლება (იზოლიაცია) ის სასჯელ გადაწყვეტილთ კი, რომელთა დაპატიმრების ვადა ათ წელს აღმატება და რომელთაც ჯერ სასჯელის ვადის ნახვარი არ მოუხდიათ ვადა უმოკლდებათ 5 წლამდე მათ შესახებ სასტიკა განხოლების მიუღებლად.

2. განთავისუფლებულ იქნას სასამართლოსა და სასჯელისაგან № 92 დადგენილების გამოქვეყნებაშედე თავის ნებით დაბრუნებული დეზერტირები და აგრეთვე ისინიც, რომელნიც გამოცხადდნენ ხსენებულ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან კი კვირის განმავლობაში.

3. იმათ, ვისაც დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულ დანაშაულთათვის გადაწყვეტად ან პირობით გადაეწყვიტათ დაპატიმრება და აგრეთვე იძულებითი მუშაობა, — სასჯელის ვადა, აგრეთვე პირობითი მსჯავრის ვადა უმოკლდებათ დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულ წესით.

იუსტიციის სახალხო კომისარის  
მოადგილე ბროდსკი.

1936 წლის 1 იანვრის განცხადება

არა-ოფიციალური განცხადება

## იურიდიული უსიმავნები \*)

(აპელ ცია თუ კასაცია?)

II.

ჩვენ პირველ წერილში ვამტკიცებდით, რომ რესეტის სამართლის პროცესის დედა აზრი, მისი სტრუქტურა, ვერ ურიცემდა საქმის არსებითად გადასინჯვას მეორე ინსტანციაში. ასეთივე უნდა იყოს ჩვენი დებულების საფუძველიც. რისი ნაყოფია რესეტის 25 ნოემბრის დეკრეტი? რა თქმა უნდა, რევოლუციას, საბჭოთა ხელისუფლების. მაში, ცხადია ისიც. რომ ამ რევოლუციამ, ამ ხელისუფლებამ გამოიწვია ჩვენ შიდაც სამართლის წესდება. ერთი სიტყვით, ერთმა და იმავე პირობაში, ერთმა და იმავე ისტორიულმა მოვლენამ წარმოშვა როგორც რესეტის, ავრეთვე ჩვენი სასამართლოს დებულებაც. და, მაშასადამ, ერთი და ოგივე დედა-აზრით, ერთნაირი სტრუქტურით, უნდა იყოს აღჭურვილი როგორც ერთი, ისე მეორეც.

ეს ასედაც არის. აშაც ჩვენი „დებულებაც“ ცხად-თ გვიმტკიცებას. ის არ არის გადმოკეთებული რესეტის დეკრეტიდან, — უმეტეს ნაწილად პირდაპირ გადმოთარგმნილია. ავილოთ წესდების მე-III მუხლი. ის სრულიად გარკვევით ამბობს, რომ სახალხო მოსამართლეთა საბჭო არსებობს (მოქმედებს) საკასაციო საჩივრების განსახილველად. იმავე განყოფილების მე-118 მუხლი წარმოადგენს რესეტის დეკრეტის 89 მუხლის სიტყვა-სიტყვითი თარგმანს. თაშასადამ, ისე უნდა ვიგულისხმოთ 118 მუხლის აზრი, როგორც ზევით განვმარტოთ რესეტის დებულების 89 მუხლი, ესე იგი საქმის ფაქტიურ, არსებით მხარეს საბჭო ვერ შეეხება.

სულ სხვას ვკიჩენების საქართველოში სინამდვილე, საბჭოს პრაქტიკა. მხარეები თავიანთ საჩივარს, საბჭოსადმი მიმართულს, „საკასაციოს“ უწოდებენ. მაგრამ ამ საჩივრებს მარტო სახელი აქვთ „საკასაციო“, — მათი შინაარსი კი აპელ-ციურია, რაღაც ხშირად ერთს საკასაციო საბაზაც იქ ვერ იპოვით: მსჯელობა მხოლოდ საქმის არსებითი მხარეზეა დამყარებული.

ამ მიმართულებას — ვერ დავფარავთ — საბჭოც ხელს უწყობს. როდესაც საბჭოში საქმის მოხსენებას აკეთებს პრეზიდიუმის რომელიმე წევრი, ნათლად ხედავთ, რომ აქ საკასაციო წესით საქმე არ ირჩევა. მომხსენებელი, რომელსაც — ეტყობა — საქმე სკინილისერათ შეუსწავლია, დაწვრილებით აქვეყნებს საქმის ყოველივე ფაქტიურ გარემოებას: ჰკიონხულობს მომჩივან-მოპასუხეთა ახსნა-განმარტე-

ბას, ყველა მოწმის ჩვენებას, მხარეთა მიერ წარდგნილ საბუთებს და სხვ ამისთანავე მიმართულებას ლებულობს უმეტეს ნაწილად მხარეთა ახსნა-განმარტებაც საბჭოს სხდომაზე.

რა საზომით, რა კრიტერიით ხელმძღვანელობს თვით საბჭო საქმის გადაწყვეტის დროს?

აქ საჭიროა, ჯერ შევჩერდეთ იმ საკითხზე, თუ რა დირექტივებს აძლევს ამ შემთხვევაში საბჭოს კანონმდებელი. 120 მუხლი ამბობს: „გადაწყვეტილების გაუქმების დროს სახალხო მოსამართლეთა სამჭომ უნდა აღნიშნოს: რაში მდვომარეობს სხელდობრ კანონის უწესო შეფარდება (ზაზი ჩვენ უსიარეს), სამართლის წარმოების რომელი ფორმაა დარღვეული ან და რაში გამოიხატა ... გადაწყვეტილების აშვარა უსამართლობა“. ამ მუხლში გატარებულ პრინციპს დიდი მნიშვნელობა აქვს. კანონმდებელი ზღუდავს საბჭოს კომპეტენციას, მის უფლებას. ის დიდი მორიდებით, დიდი პატივის ცემით ეპურობა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებას, — გადაწყვეტილებას, რომელიც ხალხის წარმომადგენელთა სკინიდისზეა აგებული. მე — 120 მუხლი თაოქა ასე არიგებს საბჭოს: როდესაც საჩივარს უშედეგოთ სტოკებ და, მაშასადამ, განჩინება ძალაში რჩება, არა საჭირო მოტივით მოიყვანო შენს. დადგენილებაში, და ამით თავი იმართლო, თუ რატომ სტოკებ ძალაში სასამართლოს გადაწყვეტილებას. და როდესაც განჩინებას აუქმებ, მაშინ კი უთუოდ უნდა ახსნა, გამოარყიო: 1) რაში სახელდობრ მდგომარეობს კანონის უწესო შეფარდება, 2) ან სამართლის რომელი სახელდობრ ფორმაა დარღვეული, და ან 3) რაში გამოიხატა ცადი უსამართლობა. აი სამი საბაზი, რომელთ ფარგლებში მნოლოდ შეუძლია საბჭოს გასჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმოს. გარდა ამ საში ცხადათ, მეაფიოთ აღნიშნული ნაკლიარ განჩინება არ გაუქმდება. ამ საში მიხეზვით თუ გინდ ერთიც იპოვოს საბჭომ, უკანასკნელი განჩინებას გააუქმებს, მაგრამ ის ურყეველი პირობით, რომ ცხადათ, გარკვევით, საფუძვლიანით უნდა ახსნას, სად, რაში და რა განსაკუთრებული საფუძველი იპოვა განჩინების გაუქმებისათვის. ერთი სიტყვით, კანონმდებელი ცდილობს შეკვეცის საბჭოს თვითნებობა, მისი თავისუფლება, სუბიექტიური შეხედულება საქმის არსებით მხარეზე. ამნაირად, სასამართლოს გადაწყვეტილება დაბოლოებითად მაინც კანონმდებელს, რომელიც ნებას აძლევს საბჭოს, გააუქმოს განჩინება მხოლოდ მაშინ, როდესაც ზემო აღნუსხული ნაკლი განჩინებას ცხადათ გამოაჩინდება.

უნდა ვაღიაროთ, რომ კანონის ამ ცხადებულებას ვერ ახორციელებს საბჭო ჯეროვნად. ჩვენ საბჭოს ყველა დადგენილება გადავათვალიერეთ და, სამწუხაროთ, ის აზრი, გამოვიტანეთ, რომ

\*) იხ. „მომბეჭ“, № 30.

და 118 და 120 მუხლი. შინაარსი თითქო ავრცელება საქმის განხილვის დროს. საბჭოს დადგენილება, თავის შინაარსით და გარეგანი გამოთქმულებითაც, რედაქციითაც, არც კი მოგავონებს 120 მუხლის მოთხოვნილებას. საბჭომ შეითვისა, მაგალითებრი, ამნარით ფორმულა, რომელსაც კანონში ვერ იპოვით: „სასამართლოს გადაწყვეტილება არ ეწინა აღმდეგება საქმის გარემოებათ“, ან და „სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქმის გარემოებათ“. პირველ შემთხვევაში განჩინება ძალაში ჩემია, მეორეში-კი უქმდება. მაგრამ კანონში არა ნათქვამი, „თუ განჩინება საქმის გარემოებაზე ეწინააღმდეგება, უნდა გაუქმდეს“-ო, და ცხადია, რატომ არა ნათქვამი. როდესაც ვამბობთ: „განჩინება საქმის გარემოებას ეწინააღმდეგება“, ეს იმას ნიშავს, რომ ჩევნ შევეღით საქმის ფაქტურ გარემოებათ განხილვაში, რის უფლება არა გვაქვს. ეჭვს გარეშე, რომ ამ განხილვის, გამოკვლევის შედეგი არის ფაქტოსტრი და არა იურიდიული დასკვნა საბჭოსი: „გარემოებათ ეწინააღმდეგება“, „გარემოებათ არ ეწინააღმდეგება“. გამოდის, რომ სასამართლომ (პირველმა ინსტანციამ) განიხილა საქმე ფაქტოსტრი მხრივ და მივიდა ერთ დასკვნამდე — გადაწყვეტილებამდე. საქმის ივივე გარემოება განიხილა საბჭომ და მივიდა მეორე დასკვნამდე: განჩინება (ესე ივი სასამართლოს აზრი) ეწინააღმდეგება საქმის გარემოებას. მაგ., ერთ თავის დადგენილებაში საბჭო პირდაპირ ამბობს: „... სასამართლო ეყარება ამ მასალის (მოპასუხის განკადებას), ამ მასალის მიხედვით სასამართლოს შეეძლო დაკმაყოფილება ძიებისა“. ეს მონაწერი, რასაკვირველია, ასე უნდა ვიგულისხმოთ: სასამართლოს შეეძლო, ამ გარემოებათა მიხედვით, ისეთი განჩინება დაედგინა. ეს არსებითაუ საქმის განხილვაა.

არის შემთხვევა, სადაც საბჭო სავსებით კანონიერად მოიქცა, როცა განჩინება გააუქმა. მაგრამ, სამწუხაროთ, ვერ შეუკეთირა თავის დადგენილება 120 მუხლის მოთხოვნილებას. ავილოთ, მაგ., ერთი საქმე. მაძიებელი ამტკიცებდა: 1 ივნისს მოპასუხეს სიჯარო ფული — 2,500 გ. უნდა მიეცაო. მომცა ვადამდის მხოლო 1,700 გ., დანარჩენი კი ვადაში არ მომცაო. ითხოვთ, პირობის ძალით, ხელშეკრულების გაუქმება. მოპასუხებ განაცხადა: ვერ მივიცი სრულად ფული იმ მიზეზით, რომ 27 მაისიდამ ახალციხე (სადაც პირობა უნდა შესრულებულიყო) ისმალების ჯარმა დაიპყროთ და მე თავს უშველე — ქალაქიდან გავედი, დავიმაღლეთ. სასამართლომ სარჩელი დაკმაყოფილია, მიიღო-რა მხედველობაში, რომ მოპასუხებ ვერ დამტკიცა, მოშემთა ჩენებით, ის გარემოება, რომ იგი პირველ ივნისს არ ცუა ახალციხეში. — საბჭომ ეს განჩინება გააუქმა, „მიიღო-რა მხედველობაში, რომ იმ დროს, როცა მოპასუხეს უნდა შეეტანა ხედირი სიჯარო გადასახადი, ახალციხე დაკავებული იყო მტრისაგან, რომ მტრის დაცემა უნდა ჩაითვალოს „ფორს-მაჟორი“-იდ

და რომ ამიტომ გადაწყვეტილება, როგორც დამტკიცებული ყარებული მხოლოდ საქმის ფორმალურ მტრის უქმება ძალაში“.

ეს დადგენილება, როგორც ზევით ვთქვი, მეკანიზირად მიმახნია. აქ არ არის განხილული საბჭოს მიერ ფაქტოსტრი მასალა: არ უთქვემს მას, რომ სასამართლოს აზრი „საქმის გარემოებათ ეწინააღმდეგება“, არ უთქვემს, რომ მოპასუხის არყოფნა ახალციხში პირველ ივნისს დამტკიცებულია. არა, — მან აიღო საქმიდან უდივო ფაქტი — ახალციხეში მტრის შემოქმდა იმ დროს, როდესაც პირობა უნდა შესრულებულიყო. და თუქვა, რომ ესეც სიკმა არის მოპასუხის გამართლებისათვის, — ეს გარემოება „ფორს-მაჟორი“-ს შეაღენს.

მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ საბჭომ ვერ მიაგნო კანონის აზრი და კანონის სიტყვებიც. 120 მუხლში „ფორს-მაჟორი“-ზე ერთი სიტყვაც არა ნათქვამი. საბჭოს თითქო დავიწყიდა 120 მუხლის შინაარსი, ვერ მოახერხა ამ კანონის გამოყენება, და აღვილი კი იყო გამოყენებით. ამ შემთხვევაში რომელიმე დეკრეტი დარღვეული არ ყოფილა პირველი იმსტანციის მიერ, რომელიმე ფორმა დებულებისა არ ყოფილა უკუგდებული. მაგრამ მესამე საბაბი კი პირდაპირ გამოკვიცის საქმიდან, — ის საბაბი, რომელიც 120 მუხლშია აღნიშნული: ცხადი უსამართლობა. მართლაც, მტრი ქალაქს თავს დაესხა, მცხოვრები, შიშით თავ ზარდაცემულნი, ქალაქიდან გარბიან, ფიქრობენ მხოლოდ იმაზე, რომ თავს უშველონ, ცოლ-შვილი სიკვდილიდან დაიხსნან, და არა იმაზე, რომ ფული ვადაში გადაიხონ. აი, აქ ითქმის, რომ ის განჩინება, რომელიც, ამ პირობებში, თხოვლობს მოპასუხისაგან ვადაში ფულის გადახდას, — „ცხადთ უსამართლოა“. ასეც უნდა ეთქვა საბჭოს თა მიეთიებით 118 და 120 მუხლები. მაგრამ საბჭომ ეს თითქო ვერ გაძედა. მან საფუძველიდ მოიყვანა საეჭვო იურიდიული მცნება, „ფორს-მაჟორი“, რომელიც საბჭოთა კანონ-დებლობაში არც კი მოიპოვება.

#### დ. კვირკველია.

\*) პირველ წერილში კარექტურული შეცდომებია შეპარული: დაბეჭდილია („მოამბე“, № 30, გვ. 29) „სპურილისტები“, უნდა იყოს: „სპეციალისტები“. დაბეჭდილია: „ერთმანეთის“, უნდა იყოს: „გერმანეთის“, და სხვ.

რედ.

## ამს. ლენინის მოსახლეები

რ. კ. XI ყრილობაზე.

გენუის კონფერენციის.

ნება მომეცით ც. კ. პოლიტიკური მოხსენება დავიწყო არა წლის დამდეგიდან, არამედ ა. წ. უკა-

ნასკნელ დროიდან. ამ ეაშად პოლიტიკური უმთავრეს და დღიურ ჭირვარის საკითხს წარმოადგენს გენუა. ეს ოქცენტ ყველას კარგი მოგესენებათ, რადგან პრეზიდენტი ამ საკითხს დიდ ადგილს უთმობდა, ჩემის აზრით გადაჭარბებულიდ დიდ ადგილს — ჩენი აღმშენებლობისა და განსაკუთრებით სამეურნეო აღმშენებლობის ნამდვილ პრაქტიკულ და საარსებო საჭიროებათ საზიანდ.

გასაგებია, რომ ეკრობის ყველა ბურჯუაზიულ ქვეყნებში ძალიან უყვართ გენუის გარშემო ატენილი მითქმა-მოთქმის ძყოლი და მისთვის თავდავიწყებაც. და ჩენიც ამ მხრივ (თუმცა არა მარტო ამ მხრივ) იმათა ვბაძვთ და ვბაძვთ ფრიად მძღვრად.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩენიც (კ. კ. მივიღეთ ყველა ზომები იმისთვის, რომ გენუაში წასავალები. დელეგაცია შეავეჭმნა ჩენი საუკეთესო დიპლომატებისაგან. ჩენი დიპლომატებისათვის განუაში სახელმძღვანელოდ ჩენი — ც. კ. გამოვიმუშავეთ დერალური დირექტივები, გამოვიმუშავეთ ფრიად გულმოდგინედ, დაკიირდებით და ფრთხილად, ყოველ საკითხზე რამდენიმეჯერ ვმსჯელობდით და მას კვლავ ხელახლად ვინილავდით და ვარკვევლით. თავისთავად ცხადია, რომ აქ საკითხი სდგას — მე არ ვიტყოდი რომ სამხედრო, რადგან ეს სიტყვა სხვანაირ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში სდგას შეჯიბრების საკითხი. ასებობს ფრიად მძღვრი მიმღინარეობა, რომელიც მოსურნებ გენუის კონფერენციის ჩაშლის, მაგრამ ასებობს ისეთი მიმღინარეობაც, რომელიც მოწადინებულია ამ კონფერენციის უთურდ მოწვევისა. ამ უკანასკნელმა მიმღინარეობამ ამ ეაშად გაიმარჯება. და ბოლოს ყველა ბურჯუაზიული ქვეყნების ბანაკში ასებობს მიმღინარეობა, რომელსაც შეიძლება გუწოროთ პარიფისტური მიმღინარეობა და რომელსაც შეიძლება მივაუთნოთ აგრეთვე მორჩე და ორ ნახევარი ინტერნაციონალი. ეს არის მთლიად ბურჯუაზიული ბანაკი, რომელიც იცავს მთელ რიგ პაკიფისტური წინადაღებისას. ჩენი როგორც კომუნისტებს — სრულიად გარკვეული შეხელოლება გვაჩეს ამ პაკიფიზმის შესახებ, რაზედაც აქ ლაპარაკი ზედმეტად მიშაჩნია. მაგრამ თავის თავად გასაგებია ისიც, რომ ჩენ გენუის კონფერენციაზე მივიღიარეთ არა როგორც კომუნისტები, არამედ როგორც ვაჭრები. ჩენ გვინდა ვივაჭროთ, ეს ვაჭრობა უნდათ იმათაც. ჩენია გვეურს რომ ეს ვაჭრობა ჩენს სასარგებლოდ სწარმოებდეს და ისინც თავის მხრით ამასვე კლილობენ. როგორ ხასიათს მიიღებს და როგორ გაიშლება ბრძოლა, ეს რაოდენიმდე ჩენს დიპლომატია მოხსერებას — და მოქნილობაზე დამოკიდებული. და გასაგებია, რომ როდესაც მივიღიარეთ გენუაში როგორც ვაჭრები, ჩენთვის სულ ერთი არ არის თუ საქმე ვისთან გვექნება: მი ბანაკთან, რომელიც საკითხის ომით გადაჭრასა სცდილობს, თუ იმ ბანაკთან რომელიც ილტვის პაკიფიზმისაკენ, თუნდაც იგი კომუნიზმის თვალსაზრისით ძლიერ ცუ-

დიც იყოს და ერ უძლებდეს კრიტიკულს აჩრდელი საც. ყოველ შემთხვევაში უშნო და უფარგები იქმნება ის ვაჭარი, რომელიც ვერ შეიგნებს ამ განსხვავებას და მას არ შეუფარდებს თავის ტაქტიკას.

